გაზეთი ბოლოსია, „ვერსია" ერთი

ვერსია

60 თვეთრი
№119 (1145) 23 - 24 ნოემბერი, 2015 წელი
ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გილოცავთ გიორგობის დღესასწაულს!

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კოჭე კუბლაშვილი ჭაბუდადებულ თემებზე ათწლიან დუმილს არღვევს

გვ. 3-4

არა-ჩვეულებრივი ექსკლუზივი

- მონა-მოსამართლეები
- პროკურატურის დაკვეთები
- გირგვლიანის საქმე
- თაბუკაშვილის ქუჩის სკანდალი
- სასამართლო, როგორც ნოტარიუსი
- ნაციონალების მთავარი შეცდომები

პროკურატურის გაზრდილი ბიუჯეტი და გაუხსნელი საქმეები

რას შეცვლის ახალი მთავარი პროკურორი

გვ. 6

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲐᲐ

მართლმადიდებელი ეკლესია დღეს გიორგობას აღნიშნავს. გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წირვას 10:00 საათიდან, ქაშვეთის ტაძარში აღავლენს.

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, წმინდა გიორგი მხედართმთავარი იყო, რომელიც რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს ქრისტიანებზე დევნის გამო განუდგა. 303 წელს, 30 წლის ასაკში, მას დიოკლიტიანეს ბრძანებით თავი მოკვეთეს. წმინდა გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას დღესასწაულობს ორჯერ: 6 მაისს — წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს — მისი ბორბალზე წამების დღეს. ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ეწოდება, რადგან სხვა ეკლესიებში საქართველოდან გადავიდა.

„ინტერპრესნიუსი“

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ: „ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲚᲘᲠᲡᲐᲓ ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐ!“

„მშობელი ეს არის ღვთისგან მადლმოსილი და მას ეძლევა მადლი, რათა გადასცეს თავის შვილებს და ეს არ უნდა დაკარგოთ“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა ისაუბრა მშობლის პატივისცემაზე და კიდევ ერთხელ გაიხსენა თავისი რჩევა, რომ შვილებმა ყოველდღიურად დალოცვა სთხოვონ და ხელზე ემთხვიონ მშობლებს.

უწმინდესის თქმით, როგორც ჩანს, მრევლმა ამას სათანადო ყურადღება არ მიაქცია, რითაც ადამიანები საკუთარ თავს ვნებენ. **„მინდა დღეს ვისაუბრო ერთ საკითხზე, რომელიც მარადიული და მძიმე საკითხია. ეს არის მშობლისა და შვილის დამოკიდებულება. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როდესაც მშობლებს არ ესმით შვილების და შვილებს არ ესმით მშობლების. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა აზროვნება, შეხედულება, მსოფლმხედველობა განსხვავდება. აი, ამიტომ ხშირია კონფლიქტი მათ შორის. თქვენ იცით, რომ ერთ-ერთი კანონი, რომელიც ღმერთმა მისცა კაცობრიობას, არის: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“, მაგრამ ამით არ მთავრდება, „რათა კეთილი გეყოს შენ და მრავალჟამიერ იყო ქვეყანასა ზედა“. ამიტომ მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო თქვენს დამოკიდებულებას მშობლების მიმართ. მშობლის შეიძლება არ გესმოდეს, შეიძლება განსხვავებული აზრი გქონდეთ შენ და მშობელს, მაგრამ შენ ვალდებული ხარ, მშობლის საშუალებით მიიღო მადლი ღვთისა, მადლისა სულისა წმინდისა და ამით კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“,** — ბრძანა პატრიარქმა.

მან ასევე თავისი სტუდენტობა გაიხსენა და აღნიშნა, რომ სახლში დაბრუნებისას ყოველთვის ცდილობდა, რაიმეთი გაეხარებინა მშობლები და მათთვის საჩუქრები გაეკეთებინა. **„თქვენ უნდა ეცადოთ, რომ რაღაცით ასიამოვნოთ თქვენს მშობელს. გირჩევთ, მთავარი ყურადღება მიაქციოთ ამ საკითხს“,** — განაცხადა უწმინდესმა.

საკვირაო ქადაგების შემდეგ, პატრიარქმა რამდენიმე გვარი და ასევე კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრი დალოცა.

„ინტერპრესნიუსი“

Turkish Airlines-ᲛᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ

ავიაკომპანია Turkish Airlines-ის ეარბუს 330-მა, რომელიც ნიუ იორკიდან ანკარაში მიფრინავდა, კანადის ქალაქ გალიფაქსის აეროპორტში იძულებითი დაშვება განახორციელა.

გავრცელებით ინფორმაციით, ამის მიზეზი ბორტზე ნაღმის არსებობის შესახებ ინფორმაცია გახდა. თვითმფრინავში 256 ადამიანი იმყოფებოდა. აეროპორტში დაშვების შემდეგ ყველა მათგანის უსაფრთხო ევაკუაცია განხორციელდა.

„ინტერპრესნიუსი“

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ!“

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ განაცხადა, სადაც გლობალური კონფერენცია „ჯანდაცვის გამოწვევები 21-ე საუკუნეში: საქართველო და მსოფლიო“ გაიმართა.

ღარიბაშვილის განმარტებით, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, მთავრობამ არაერთი ნაბიჯი გადადგა.

„ჩვენი მთავრობის მთავარი ღირებულება არის სწორედ ადამიანი. მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უკვე არაერთი ნაბიჯი გადავდგით იმისთვის, რომ მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება იყოს ხელმისაწვდომი და უკეთესი ხარისხის. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა და დღეს ყველა მოქალაქე არის უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურებით“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ სწორედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ჩაუყარა საფუძველი პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებას.

„ინტერპრესნიუსი“

ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, „ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ

აშშ-ს პრეზიდენტი რუსეთს სირიის ოპოზიციასთან ბრძოლის ნაცვლად, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლისკენ მოუწოდებს.

ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ რუსეთმა უნდა მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება და დაკავდეს ჯიჰადისტებთან ომით და არა სირიის ოპოზიციის ძალებთან, რომლებიც ცდილობენ პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადაგდებას.

„რუსეთის თავდაპირველი სამხედრო ოპერაციები არ უწყობდნენ ხელს ძალისხმევას „ისლამური სახელმწიფოს“ შესაჩერებლად და გარკვეულწილად, ის გააძლიერეს კიდეც“, — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტს უთხრა, რომ მათ უნდა დაარტყას, ვინც რუსეთის მოქალაქეებს კლავდა.

ობამას განცხადებით, რუსეთს ოფიციალურად არ დაუდასტურებია თავისი მხარდაჭერა იმ გეგმისადმი, რომელიც ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას ითვალისწინებს, მაგრამ ამ ქვეყანაში პოლიტიკურ გარდამავალ პროცესზე დათანხმდა.

„ინტერპრესნიუსი“

ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ

თბილისის მერიის ინფორმაციით, დასრულებული სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დღეს გლდანის რაიონის გამგებელ ბესიკ ქარცივაძესთან ერთად დაათვალიერა. დავით ნარმანიას განცხადებით, კორპუსის დაზიანებული ნაწილი კაპიტალურად არის შეკეთებული.

„როგორც კი დაზიანება მოხდა, ჩვენი მხრიდან ისევე, როგორც სამაშველო სამსახურის მხრიდან რეაგირება იყო მყისიერი. სამაშველო სამსახურის მიერ პირველადი სამუშაოების დასრულებისთანავე, ჩვენ გადაუდებელი წესით დავიწყეთ დაზიანებული სართულების აღდგენა. საკმაოდ დიდი იყო ზიანი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, კორპუსი გაკეთდა. კონსტრუქციულად გამაგრდა ის ნაწილები, რომელიც გამაგრებას საჭიროებდა, გაკეთდა ლიფტი, გარემონტდა საცხოვრებელი სახლები, ასე რომ, თავდაპირველ მდგომარეობასთან შედარებით, ახლა გაცილებით მყარია მათი საცხოვრებელი ბინები, ამასთან, გაცილებით უფრო კომფორტული და მოწესრიგებული“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

12 აპრილს, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარმა ძლიერმა აფეთქებამ გლდანის მე-2 მ/რ-ის 25-ე კორპუსის ბოლო ორი სართული დააზიანა. დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ბინები ამ დროისთვის სრულად აღდგენილია. საცხოვრებელი სახლები მათ გარემონტებულ მდგომარეობაში ჩაბარდათ. ამასთან, სადარბაზოში აღდგა კიბის უჯრედი, ლიფტი და ლიფტის სამართავი ოთახი.

აღნიშნული სამუშაოებისთვის გლდანის რაიონის გამგეობიდან 233 543 ლარი დაიხარჯა.

ᲑᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის შტაბის ორგანიზებით ინტელექტუალური თამაში „ბრეინ რინგი“ ჩატარდა, რომელიც „რა? სად? როდის?“ თამაშის ანალოგია.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ინტელექტუალურ თამაშში „ალფას“, „ბრავოს“, „ჩარლის“, „დელტას“ ასეულებმა, ასევე შტაბის და ეროვნული გვარდიის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. თამაში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე ჯგუფებს 20 კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა, მეორე ეტაპზე ფინალი ორ გუნდს შორის გათამაშდა, სადაც შტაბის გუნდმა ანგარიშით 6-4 „ალფა“ ასეულის გუნდი დაამარცხა. აღსანიშნავია რომ თამაშში ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად აშშ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსის ქართული სამეკავშირეო ჯგუფის საზღვაო ქვეითებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ფინალში გასული და გამარჯვებული გუნდები ავღანეთში უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა გიორგი ბლიაძემ და 22-ე ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მანუჩარ ბარბაქაძემ სიმბოლური საჩუქრებითა და მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს. 22-ე ბატალიონის ხელმძღვანელობა მომავალშიც გეგმავს მსგავსი თამაშების ჩატარებას, რადგან ინტელექტუალური თამაშები ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეების ცოდნის გაღრმავებას.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ

მცხეთასთან, ავტობანზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შსს-ს ინფორმაციით, მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა. ავტომობილში ორი ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა. საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით აღიძრა, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„ინტერპრესნიუსი“

რას თვლის კოტე კუბლაშვილი ნაციონალების მთავარ შეცდომად

ვანო პავლიაშვილი

...წლებია, ბეჭდვური მედიისთვის ინტერვიუ არ მიუცია. ალბათ, ამიტომაც, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა თუ არა, დიდი ნაწილი დღემდე „მიშას ხელისუფლების“ მთავარ „მონსტრად“ თვლის. ეს გასაკვირიც არაა, რამეთუ ათი წელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. მაშინდელი ოპოზიცია კი წერტილოვან დარტყმებს სწორედ სასამართლო ხელისუფლებაზე ახორციელებდა... მოკლედ, ჩემი და „ვერსიის“ „საუკუნის“ ექსკლუზივი — თქვენს წინაშეა 42 წლის კოტე კუბლაშვილის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ.

— ბატონო კოტე, ერთმანეთს ძალიან დიდი ხნის წინ შევხვდით. მას შემდეგ ამ ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა, სხვა თუ არაფერი, ორი ხელისუფლება შეიცვალა... შეხვედრაზე რატომ დამთანხმდით?

— (იღიმება) ვფიქრობ, ისეთ თემებზე ვისაუბრებთ, რაც ბევრისთვის საინტერესოა.

— ცხადია, საინტერესო თემებზე ვისაუბრებთ, თან ის ადამიანი ხართ, ვისზეც მთელი 9-10 წელი „დარტყმა“ მიდიოდა. მოდით, მომიყევით, სასამართლოში რეალურად რა ხდებოდა?

— ამ ათი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა, თუმცა იმის თქმა, კონკრეტულად რა ხდებოდა, რთულია, რადგან ყველაფერი ხდებოდა — სასამართლოში ყველაფერი გასაუმჯობესებელი გახლდათ და პირველ ეტაპზე კრიტიკა ყოველმხრივი იყო. ეს არც მიკვირდა და ამ კრიტიკის დიდ ნაწილს ვეთანხმებოდი...

— იმ მოსაზრებასაც იზიარებდით, რომ ამბობდნენ, სასამართლო პოლიტიზებულია და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებსო?

— ნაწილობრივ, თუმცა ისეთ კრიტიკას, რომელიც მხოლოდ კრიტიკისთვის იყო გამოთქმული და რეალური საფუძველი არ ჰქონდა, არ ვეთანხმებოდი. არავინ უარყოფს: არსებობდა საქმეები, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას იწვევდა და ამის შედეგად დიდი აჟიოტაჟი იქმნებოდა, რასაც სასამართლო მეტ-ნაკლებად უმკლავდებოდა. იმ დროს, როცა უზარმაზარი რეფორმა მიმდინარეობდა და სასამართლო სისტემაში, პრაქტიკულად, ყველაფერი იცვლებოდა, ვუშვებდი, რომ ასეთი მოვლენები იქნებოდა, რადგან ის, რაც დიდი ხნის განმავლობაში ცუდ პირობებში იყო, ერთბაშად ვერ შეიცვლებოდა.

— ნებისმიერ რეფორმას, გეთანხმებით, აჟიოტაჟი ახლავს, რადგან ადამიანები სიახლეს მძიმედ ვეგუებით, მაგრამ როგორც მაშინდელი ოპოზიცია ამბობდა, გამამართლებელი განაჩენები ერთი პროცენტიც კი არ იყო. ამას რითი ხსნით?

— სწორედ ამას ვამბობ, რომ ეს კრიტიკა დასაბუთებული არ იყო. მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, როცა გამამართლებელი განაჩენები ერთ პროცენტამდეც არ იყო, თუმცა საერთაშორისო დასკვნები და პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ გამამართლებელი განაჩენები ერთიდან სამ პროცენტზე მეტი არსადაა, მაგალითად, იგივე, შვედეთსა და იაპონიაშიც.

— ქვეყნის მასშტაბსაც გააჩნია, მით უმეტეს, იაპონიის ფონზე, საქართველო ძალიან პატარაა...

— დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, ყველა სხვა წლებში, მანამდეც და მერეც, გამამართლებელი განაჩენები გაცილებით მეტი იყო. იმ ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის მერე, რომელიც ამის გამო გვაკრიტიკებდა, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ კი არ მოიმატა, არამედ, იკლო — მაგალითად, 2012 წელს უფრო მეტი გამამართლებელი განაჩენი დადგა, ვიდრე — 2013-ში. მოკლედ, მაშინდელ ოპოზიციას დასაბუთება, ასე რატომ ხდებოდა, არ ჰქონდა, უბრალოდ, რაღაც ციფრს ამბობდა და სხვა არაფერს...

— ამ პოლიტიკურ რიტორიკას სასამართლო ადეკვატურ-არგუმენტირებულად რატომ არ პასუხობდა? მოდით, აღიარეთ, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია დაკარგული გქონდათ და ნაჭუჭში იყავით ჩაკეტილი!

— ბუნებრივია და ეს ჩვენი პრობლემა იყო, მაგრამ ყველა შეხვედრაზე ვამბობდი, რომ ამ კუთხით საქართველო მსოფლიოში ერთადერთი გამონაკლისი არაა, თუმცა ამას უფრო მეტი დასაბუთება სჭირდებოდა, რათა საზოგადოებას სიტუაციის უფრო კარგი და რეალური აღქმა ჰქონოდა. ამას ბევრი სხვა რამეც ემატებოდა.

— რას გულისხმობთ?

— მხოლოდ სიტყვები, რომლის უკანაც არაფერი იდგა, ყველას იჭერენო. აი, მაგალითად, ახლაც ამბობენ, 300 ათასი ადამიანი იყო დაჭერილიო, მაგრამ იცით, რეალურად როგორი მდგომარეობა იყო? — 300 ათასი ადამიანი დაჭერილი კი არ იყო, არამედ, შეიძლება, უწვრილესი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ანუ ამ ციფრში ყველაფერი ითვლებოდა. რეალურად კი, ლაპარაკი სულ 150 ათას ადამიანზე იყო, საიდანაც თავისუფლება 40 პროცენტს ჰქონდა აღკვეთილი, რაც საერთო ჯამში, 60 თუ 70 ათასი ადამიანია, თან მთელი 9-10 წლის განმავლობაში.

— ესე იგი, ნაცმოძრაობის მმართველობისას მხოლოდ 150 ათასი ადამიანი გასამართლდა?

— დიახ და აქედან ციხეში 60 პროცენტი არ შესულა, მაგრამ ამას არავინ ამბობს, არადა, რეალური ინფორმაცია სწორედ ესაა.

— ახალმა ხელისუფლება 200-ზე მეტ ადამიანს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. ამას წინათ, ეკა ბესელიამ მითხრა, ეს ყველაზე დიდი დარტყმაა, რაც „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას მიაყენა და ამით რეჟიმის არსებობა დადასტურდაო. თუკი თქვენს სასამართლოზე პოლიტიკური წნეხი არ იყო და ხალხს პოლიტიკური ნიშნით არ ასამართლებდით, პოსტნაციონალურ საქართველოში პოლიტპატიმრის სტატუსი რატომღა გაჩნდა?

— ვანო, შეგიძლიათ, პოლიტპატიმრებზე ვენეციის კომისიის დასკვნა წაიკითხოთ და ნახავთ, რამდენ დარღვევაზეა ლაპარაკი. გარდა ამისა, ასევე შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტების მოსაზრებები, სადაც აღნიშნულია, რომ ამ კუთხით ბევრი რამ დაირღვა და მთავარი: ვინ შევიდა პოლიტპატიმართა სიაში? რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთი ადამიანი, რომელმაც სხვას ორჯერ ესროლა. არავის უთქვამს, არ უსვრიაო, მაგრამ ეს ადამიანი პოლიტპატიმარი გახდა. ეს სწორია? ერთმა ადამიანს ორჯერ დანა დაარტყა, გასამართლდა და ახლა პოლიტპატიმარია. ერთს კი კილოგრამი და 800 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს და ისიც პოლიტპატიმართა სიაშია. აქედან ჩანს, ეს პროცესი რამდენად არაობიექტური იყო ანუ თუ ამ მაგალითებიდან პოლიტიკური სამართლის ნიშნები არ იკვეთება, სხვა პოლიტპატიმრებზე რაღა ვთქვათ, იქნებ, მათშიც ეჭვი უნდა შეგვეპაროს?

— გონივრული ეჭვი შეიძლება, ნებისმიერი მოვლენის მიმართ გაჩნდეს, მაგრამ ნაციონალების დროს „წამლისა“ თუ იარაღის ჩადება ჩვეულებრივი ამბავი იყო და ამას უარყოფთ?

— ერთს გეტყვით: 1, 800 გრამ ჰეროინს არავინ ჩაუდებდა, აღმოუჩინეს და ნამდვილად გამსაღებელი იყო, თორემ „ჩადებები“, ალბათ, იყო და ეს ტენდენცია ახალი ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა.

— როცა ოპოზიცია „ჩადებებით“ აპელირებდა, თქვენ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, არ სვამდით კითხვას, ეგებ, მართლაც, ასე იყო?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ კითხვებს მხოლოდ იმ ფარგლებში ვსვამდით, რასაც მტკიცებულებები და პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ჰქვია.

— ისე, თქვენი დროის სასამართლოს ნოტარიუსს ეძახდნენ...

— სასამართლოს ნოტარიუსს პოლიტიკური რიტორიკის გამო ეძახდნენ, თორემ ჩვენს დროს საპროცესო შეთანხმებები სასამართლო გადაწყვეტილებების 88 პროცენტი იყო, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი, რომელიც თავის დროზე სასამართლოს „ნოტარიუსს“ ეძახდა, საპროცესო შეთანხმებები 91 პროცენტი გახდა. აი, ესაა რეალობა, რომელიც იმალება... არ უარვყოფ: იმ პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში სასამართლოს მიმართ წნეხი ნაწილობრივ არაობიექტურად არსებობდა.

— როგორც პიროვნება, ამას განიცდიდით?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ბევრ ნიშანს ვხედავდი, რომ კრიტიკა არასწორი იყო, თუმცა ამ კრიტიკისთვის უფრო ღიად, თამამად და ხშირად უნდა გვეპასუხა.

— პასუხის გაცემას გიკრძალავდნენ?

— არა.

— აბა, რატომ არ პასუხობდით?

— ვპასუხობდით, მაგრამ როგორც ჩანს, არასაკმარისად, თორემ მაგალითად, ყოველწლიურად, ჟურნალისტებთან სამდღიან შეხვედრებს ვმართავდი...

— ასეა თუ ისე, ბატონო კოტე, ძმები კუბლაშვილებისგან მონსტრები შექმნეს. ვიცი, გულუბრყვილო კითხვაა, მაგრამ მიპასუხეთ: სააკაშვილისგან ან ადეიშვილისგან დავალება მიგიღიათ?

— არ მახსოვს, სააკაშვილს კონკრეტულ საქმეზე რამე ეთქვა, თუმცა მასთან კონტაქტი, რა თქმა უნდა, მქონდა — როცა სასამართლოს ხელისუფლების პირველი პირი ხარ და სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებები მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტსაც თავისი მოსაზრებები აქვს. ხშირად ვხვდებოდი ბიუჯეტზეც, რადგან ჩვენი ბიუჯეტი მუდმივად უნდა გაზრდილიყო...

— სხვათა შორის, არავინ ამბობდა, მოსამართლეები ქრთამს იღებენო...

— ვერ ამბობდა, რადგან მართლა არ იღებდნენ. მათგანაც კი, ვინც ყველაზე მძაფრი კრიტიკით გამოდიოდა, არ გამიგია, სასამართლოში კორუფცია არსებობსო... 2006-2007 წლებში, კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა ძალაში, სასამართლოში, შინაარსობრივად, ბევრი რამ შეიცვალა და პრეზიდენტთან შეხვედრები მაშინაც მქონდა. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, პრეზიდენტს ერთი-ორჯერ კიდევ შევხვდი.

— ისე, ბიძინა ივანიშვილმაც დადებით კონტექსტში გახსენათ და, თუ არ ვცდები, მსხვერპლი გიწოდათ...

— შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთანაც მქონდა და ეს დაფარული არავისთვის ყოფილა, თუმცა ბევრი რამ შეიძლება, სხვაგვარად ან კარგად ვერ გაიგო და ამიტომ, მისი რამდენიმე მოსაზრება ჩემთვის მისაღები არ იყო და ამაზე ერთი-ერთზე ვისაუბრეთ...

— სიტყვამ მოიტანა და, ივანიშვილს რომ ნდომებოდა, უმრავლესობას თქვენი იმპიჩმენტი არ გაუჭირდებოდა...

— (იღიმება) იმპიჩმენტის პროცედურა ძალიან რთულია ან საფუძველი რა უნდა ყოფილიყო? თან ამ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს... ეს ახალი ხელისუფლების გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა და, სავარაუდოდ, სასურველ შედეგს ვერც მიიღებდა.

— შეიძლება, მაგრამ ეს ნერვების წყვეტა იქნებოდა.

— თავისთავად. როცა ასეთ თანამდებობაზე ხარ და პასუხისმგებლობას გრძნობ, ესე იგი, რაღაცებზე ნერვიულობ კიდეც.

— თვლით, რომ ეს ნერვიულობა ივანიშვილმა აგაცილათ?

— არა, არა... მანამდე, 5-6 თვის განმავლობაში, ახალი ხელისუფლების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაში პირდაპირი ჩარევა ხდებოდა.

— ანუ?

— არ გახსოვთ, რა ხდებოდა? — ახალი ხელისუფლების ყველა მაღალი თანამდებობის პირი სატელევიზიო გამოსვლებისას აცხადებდა, ხელს კოტე კუბლაშვილი და ეს მოსამართლეები გვიშლიანო, რაც სასამართლო ხელისუფლებაზე პირდაპირი ზეწოლა იყო. ამას ის ფაქტებიც ემატებოდა, მაგალითად, მოსამართლესთან სახლში რომ მივიდნენ, ამ საქმეს რომ იხილავ, ერთი, გვაჩვენე, რა ხდებაო. ერთი მოსამართლის წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, დაკითხვაზეც დაიბარეს და იცით, რა საკითხზე? — რაღაც გადაწყვეტილება არასწორად მიიღო, რაც აპელაციამ გამოასწორა, მაგრამ პროკურატურაში მაინც დაიბარეს და უნდოდათ ეკითხათ, ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღეო. ასეთი რაღაცები მე-19 საუკუნეშიც აღარ ხდებოდა ანუ იმდენად მძიმე ჩარევები იყო, რომ ნერვიულობა ისედაც არ გვაკლდა და იმპიჩმენტის პროცედურა უარესი ჩემთვის კი არა, მათთვის იქნებოდა.

— ხელისუფლება რომ შეიცვალა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა ნებით რატომ არ დატოვეთ?

— რატომ უნდა დამეტოვებინა? სხვათა შორის, ეს იმ მენტალობის გამომხატველი კითხვაა, როგორც მაშინ მოსახლეობა ფიქრობდა. მოსახლეობა შეჩვეულია: ვიღაც ახალი ლიდერი მოვიდა, ამიტომ ძველები მთლიანად უნდა წავიდნენ და ახლები მოვიდნენ, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება მშვიდობიანი არჩევნების გზით შეიცვალა და ეს დემოკრატიისკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლებაში არავინ უნდა შეიცვალოს. სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური ხელისუფლებისგან მუდმივობით განსხვავდება და ეს დაცული უნდა იყოს, თუმცა ბევრ მოსამართლეს ასეთი განცდა არ ჰქონდა, რადგან მოსახლეობა ასე უყურებდა, შენ კიდევ იქ ხარ და არ გაგიშვესო? რადგან ახალი ხელისუფლება მოვიდა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო უნდა წავიდეს და ერთი მოსამართლეც არ წასულა!

— გეთანხმებით, რომ კანონის უზენაესობა მთავარია, მაგრამ მთელი 90-10 წელი ხომ კონსტიტუციის ვაუპატიურებდით. მოსამართლეებიც ადამიანები არიან და ამას ურთმელიძის შემთხვევაც მოწმობს — ადრე, როგორც ამბობენ, სხვა ხელისუფლებას ემორჩილებოდა, ახლა სხვას ემორჩილება... ბატონო კოტე, ფიქრობთ, მოსამართლე ურთმელიძე, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, „ოცნების“ დაკვეთას ასრულებდა?

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

— ჯერ იმას გეტყვით, რომ მოსამართლეებმა ძალიან კარგად იგრძნეს, რას ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერზე, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც მეტყველებს — ისინი ძალიან მყარად დადგნენ და აჩვენეს, ჩვენ მოსამართლეები ვართ და ობიექტურ გადაწყვეტილებებს მივიღებთო, მაგრამ ის ევერ იქნებოდა, რომ რამდენიმე მოსამართლეს ეს პრობლემა არ შექმნოდა. რამდენიმე მოსამართლეს ეშინოდა, ვაიმე, გამიშვებენო.

— თქვენს დროსაც ხომ იყვნენ შეშინებული მოსამართლეები, რომლებიც დავალებებს ასრულებდნენ?

— დიახ, მაგრამ უმრავლესობას არ ეშინოდა. ახალი ხელისუფლების დროს, ერთმა მოსამართლემ, რომლის ხელახლა დანიშვნის საკითხს ვიხილავდით, გასაუბრებაზე განაცხადა, მოსამართლე ათი წელი კი ვიყავი, მაგრამ დამოუკიდებლობას ვერ შევძლებ, მოსემ ხალხი, მონობას რომ გადაჩვეულიყო, 40 წელი ატარა და ვეთანხმები, რომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დამნიშნოთო.

— ანუ, აღიარა, რომ ნაცების დროს მონა იყო?

— ასე თქვა და ვერ მივხვდი, სამწლიან გამოსაცდელ ვადაში მონიდან დამოუკიდებელ მოსამართლედ როგორ გადაიქცეოდა ანუ მისი ფსიქოლოგია ასეთი იყო და ჩვენი შეცდომაც სწორედ ის გახლდათ, რომ სამწუხაროდ, ასეთებიც გვყავდნენ. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითს, არ მინდა, მოსამართლეზე რამე ვთქვა, მაგრამ ამ საქმეში მხარს მთლიანად „რუსთავი 2“-ს ვუჭერ, როგორც დამოუკიდებელი და კრიტიკული ტელეკომპანიის შენარჩუნებას. საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტ ვარ — ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში და მინდა, ყველამ იცოდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული მედია ნაწილობრივ არაობიექტურია, სახელმწიფო მის მუშაობაში არ უნდა ჩაერიოს. პრობლემა არაა, თუ მედია მეტ-ნაკლებად სუბიექტურია...

— მედიის მუშაობაში თქვენი ხელისუფლება არ ერეოდა?

— რა თქმა უნდა, ერეოდა.

— მერე, რატომ არ აპროტესტებდით?

— როგორ უნდა გამეპროტესტებინა? იმ საკითხებში არ ვერეოდი, რომელიც ხელისუფლების სხვა შტოებს ეხებოდა. ეს პოლიტიკური ხელისუფლების საქმე იყო.

— გავიგე, მაგრამ როგორც მეგობარი, არ ურჩევდით?

— მათთან ამ საკითხებზე შეხება არ მქონია. თუ საქმე სასამართლოში მოვიდოდა, სასამართლოს, ბუნებრივია, თავისი სტანდარტებით უნდა განეხილა.

— სასამართლოს პოლიტიკური დაკვეთა არც გირგვლიანის საქმეზე მიუღია?

— შეიძლება, პოლიტიკური ინტერესი იყო, მაგრამ სასამართლო ცდილობდა, ობიექტური ყოფილიყო. როცა ეს საქმე უზენაესში მოვიდა, ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილების ხარვეზი გამოასწორა და მსჯავრდებულებს სასჯელი 6 თვით შეუმცირა.

— ხალხი სწორედ მსუბუქ სასჯელს აპროტესტებდა...

— დიახ, მაგრამ სწორი იყო, როცა უზენაესმა სასამართლომ საზოგადოების აზრი არ გაითვალისწინა, რადგან წინა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებაში ჩანდა, რომ 6 თვით ზედმეტი სასჯელი დაუსაბუთებლად ჰქონდათ მისჯილი. ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ მტიცებულებებით იმსჯელა და სასჯელი შეამცირა, რასაც შეიძლება, საზოგადოების კიდევ უფრო მეტი აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ როცა მტკიცებულება არ არსებობს, სასამართლომ საზოგადოების აზრი არ უნდა გაითვალისწინოს.

— ბატონო კოტე, თუკი მტკიცებულებები სხვაზე მეტყველებდნენ, აბა, ევროსასამართლომ რატომღა დაასკვნა, რომ გირგვლიანის საქმეში ხელისუფლების ყველა შტო ხმაშეწყობილად მოქმედებდა?

— სასამართლო იმაში კი არ დაადანაშაულეს, რომ რამე კონვენციის საწინააღმდეგო გააკეთა, უბრალოდ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში, მგონი, უფრო პოლიტიკური გავლენის აზრით გაკეთდა ჩანაწერი და ხაზი პროცესების გაუმჭვირვალობას გაესვა...

— წეღან ადეიშვილზე გკითხეთ და არ მიპასუხეთ: მითითებებს არც ის გაძლევდათ და, საერთოდ, სასამართლო პროკურატურის გავლენის ქვეშ იყო?

— გარკვეული გავლენა, რა თქმა უნდა, იყო. „ვარდების რევოლუციის“ მერე, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, მთავარი პრობლემა კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული გახლდათ და ამ ორი უდიდეს პრობლემას სახელმწიფომ ბრძოლა პირველად გამოუცხადა. ამ ბრძოლაში სასამართლოც ჩაერთო, რაც პირველ ეტაპზე სწორი იყო, თუმცა ამას ცუდი შედეგი მოყვა, რადგან თავის დროზე ვერ შევძელით, ამ პრობლემასთან ბრძოლა იმდაგვარად შეგვეცვალა, რომ სასამართლოს იმ დარღვევებზეც მიეთითებინა, რომელსაც ამ ბრძოლაში პოლიტიკური ხელისუფლება უშვებდა.

— შიშის გამო ვერ უთითებდით?

— არა, შიში ნამდვილად არ მქონია. უბრალოდ, ამ ბრძოლაში მთელი ქვეყანა იყო ჩართული და გვერდზე დროულად ვერ გამოვიწიეთ. სასამართლო ამ პრობლემებს უნდა ებრძოლოს, მაგრამ იგივე პროკურატურას მიუთითოს, აქ შეცდომაა და არ დაგიკმაყოფილებო. აი, ამ პროცესმა დაიგვიანა.

— როგორც ვიცი, უმნიშვნელო ეკონომიურ დანაშაულზეც კი, სასამართლო პროკურატურის მოთხოვნას უსიტყვოდ აკმაყოფილებდა...

— გეთანხმებით, მკაცრი პოლიტიკა იყო, რაც სასჯელთა შეკრების პრინციპში გამოიხატებოდა.

— „ოცნება“ სასჯელთა შეკრების გაუქმებით ამაყობს...

— არ ვეთანხმები, რომ სასჯელთა შეკრება სრულად გააუქმა, რადგან ჩემი აზრით, კარგი შედეგი არ მივიღეთ. მოკლედ, მკაცრი პოლიტიკა პირველ ეტაპზე სწორი იყო, რადგან ამას პრევენციის ხასიათი ჰქონდა...

— შეიძლება, მაგრამ ყველაფერი ეს თქვენს მიმართ აგრესიას ზრდიდა. სახელმწიფოსგან მონსტრს მიზანმიმართულად ქმნიდით?

— არა, არა, ვერ დაგეთანხმებით. ეს პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული ბოლომდე დამარცხებულიყო, თუმცა გეთანხმებით, როცა ყველაფერი დამთავრდა და კორუფციაც და კრიმინალური მენტალიტეტიც მიწასთან გასწორდა...

— მაპატიეთ, გაწყვეტინებთ — შეიძლება, კორუფცია ქვედა დონეზე დამარცხდა, მაგრამ როგორც ამბობდნენ, ელიტური კორუფცია ყვაოდა!

— ეს სხვა საკითხია, თან ფაქტს ვერავინ ასახელებდა და ესეც პოლიტიკური რიტორიკის ნაწილი იყო.

— რა ვიცი, თქვენს სახლზე ლეგენდები დადიოდა...

— ვერაფერი დაადასტურეს.

— ბუკიას ბაღთან სახლი მართლა გაქვთ?

— დიახ, ოღონდ ამბობდნენ, ოთხივე სართული მისიაო, მაგრამ მხოლოდ ერთ სართულზე ვცხოვრობ! მოკლედ, როცა ბრძოლა დამთავრდა, წნეხი უნდა შემცირებულიყო და სასჯელთა შეკრების პრინციპით შეცვლილიყო.

— ამ ინიციატივით თქვენ რატომ არ გამოხვედით?

— სასამართლო ხელისუფლება იმ კანონებით მუშაობს, რომელსაც ხელისუფლების სხვა შტო იღებს და ვერ იტყვის, მკაცრი

კანონია და არ შევასრულებო, მაგრამ გეთანხმებით, ერთი შეხედვით, მძიმე და მეორე მხრივ, სამართლიანი კანონმდებლობა უნდა შეცვლილიყო. სხვათა შორის, 2010 წელს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებაში სასამართლო ხელისუფლება ძლიერად იყო ჩართული და კარგი იქნებოდა, ამ საკითხებისადმი მიდგომაც შეგვეცვალა.

— ბატონო კოტე, ასეა თუ ისე, მაინც ვერ გავიგე, ძმები კუბლაშვილებისგან მონსტრები რატომ შეიქმნენ?

— ამის რეალური საფუძველი არ არსებობდა. ეს პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხის მიერ დაყენებული საკითხი იყო — ოღონდ რამეზე ჩირქი მოეცხო, თორემ ამის უკან რეალურად არაფერი იდგა.

— არ ვიცი, ამ დელიკატურ თემაზე ლაპარაკი გინდათ თუ არა, მაგრამ ალბათ, გსმენიათ, კოტე კუბლაშვილი სააკაშვილთან ვალში პიროვნულადაა — ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, მიშა დაეხმარა და იძულებულია, დაემორჩილოსო...

— (იღიმება) დიახ, მსმენია, თუმცა ესეც გარკვეული ლეგენდაა, რომელიც შემდეგ, სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილმაც გაიმეორა. როცა ეს საკითხი იდგა, მხოლოდ სააკაშვილი კი არა, გარკვეულწილად პრეზიდენტი შევარდნაძე და, საერთოდ, ასობით ადამიანი დამეხმარა. ამიტომ, ამ კუთხით ვალში ბევრთან ვიყავი და ყველანაირად ვცდილობდი, რომ მათ მიმართ მადლიერება გამომეხატა. ათი წლის განმავლობაში, სააკაშვილის ჩემთან ლაპარაკი ერთ კონკრეტულ საქმეზეც არ ქონია!

— დღეს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

— (იცინის) საკმაოდ კარგი!

— მიხარია!.. სააკაშვილი თქვენი მეგობარია?

— ასე ვერ ვიტყვი... მეგობრობა ცოტა სხვანაირად წარმომიდგენია, თუმცა იდეურად და მზედამხედველობდი ახლო ურთიერთობა გვქონდა.

— ესე იგი, თქვენს უკრაინაში პორტირებას უნდა ველოდეთ?

— რა თქმა უნდა, არა.

— ნაციონალების მიმართ მოსახლეობის ნაწილი აგრესიას გამოხატავს. თანამდებობიდან წამოსვლის შემდეგ, ქვეყნიდან წასვლაზეც არ გიფიქრიათ?

— არა. სხვათა შორის, ქუჩაში ფეხით ადრეც ხშირად დავდიოდი, მაგრამ ხალხის აგრესია არასოდეს მიგრძნია, რასაც იმას ვუკავშირებ, რომ ჩემი საქმიანობით ვცდილობდი, სასამართლო დამოუკიდებელი ყოფილიყო, თუმცა ისეთი დამოუკიდებელი არ იყო, როგორიც უნდა იყოს.

— თქვენი აზრით, სასამართლო ხელისუფლებაზე დამოკიდებული ახლა უფრო მეტადაა თუ ნაციონალების დროს უფრო მეტად იყო?

— თუ საზოგადოებისთვის ცნობილი საქმეებით ვიმსჯელებთ, თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა — არსებობს კონკრეტული საქმეები, რომლებიდანაც მაშინაც და ახლაც, ჩანდა და ჩანს, რომ პოლიტიკური ინტერესი არსებობდა და არსებობს. ათასი საქმიდან პოლიტიკური ინტერესი შეიძლება, ხუთზე იყოს და ცუდი იმიჯიც სწორედ ამ ხუთი საქმით შეიქმნას.

— თუკი დღის წესრიგში ნაცმოძრაობის, როგორც რეჟიმის გასამართლების საკითხი დადგება, გარკვეული პასუხისმგებლობა კოტე კუბლაშვილსაც დაეკისრება?

— ნაცმოძრაობის გასამართლება ძალიან თეორიული საკითხია და უფრო წინასაარჩევნო რიტორიკაა. თუ ეს ახლა მოხდა, მაშინ შემდეგაც მოხდება ანუ ახალი ხელისუფლება რომ მოვა, შეიძლება, თქვას, მოდი, „ქართული ოცნება“ ავკრძალოთო. ამ საკითხზე ის ხალხი ლაპარაკობს, რომელსაც პოლიტიკა არ ესმის და ვერ ხვდება, რომ ასეთი რამ წინ კი არა, უკან, სიბნელეში წაგვიყვანს.

— ...ბატონო კოტე, თვლით, რომ საბედისწერო შეცდომა დაგიშვიათ?

— შეცდომები დავუშვი — შეუძლებელია, ათი წელი ასეთ თანამდებობაზე იყო, თან რეფორმების დროს და შეცდომა არ დაუშვა, მაგრამ მთავარია, ამ შეცდომას როგორ უდგები და აღიარებ თუ არა. უკეთესი იქნებოდა, ჩემი ხელმძღვანელობის დროს სასამართლო ხელისუფლების პოზიცია უფრო მკვეთრი ყოფილიყო. გარკვეული შეცდომები მოსამართლეთა შერჩევისასაც იყო.

— შეგიძლიათ, საკუთარ თავს აპატიოთ?

— რაღაცებს ვაპატიებ... ძირითადი შეცდომა ისაა, როცა მოჯადოებული გარემოდან ვერ გამოხვალ და ვერ იტყვი, ეს არასწორია და მოდი, ახლა სხვანაირად გავაკეთოო.

— ილიას უნივერსიტეტი ნაციონალთა თავშესაფრად ითვლება. თავს მართლმორწმუნე ნაციონალად თვლით?

— (იღიმება) არა. პალიკოსგან განსხვავებით, პოლიტიკური მოძრაობის წევრი არასოდეს ვყოფილვარ.

— არც „გირჩი“ გახდებით?

— გამორიცხულია...

ვანო, თქვენი კითხვები მიანიშნებდა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე თავს თითქოს ნაცმოძრაობის წარმომადგენლად ვგრძნობდი, მაგრამ ასე არ იყო. სასამართლოში წესიერი და განათლებული ადამიანი თავს რომელიმე გუნდის წევრად ვერასოდეს ჩათვლის. ყოველთვის ვცდილობდი, უზენაესი სასამართლოს ის თავმჯდომარე ვყოფილიყავი, რომლის ფუნქციაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაძლიერება იქნებოდა...

— ...ილიას უნივერსიტეტში რას მოღვაწეობთ?

— ილიაუნის სამართლის სკოლის პროფესორი ვარ. გარდა ამისა, ევროსაბჭოსთან გარკვეული კონტრაქტი მაქვს — იმ ქვეყნებში, სადაც მართლმსაჯულების კუთხით მსგავსი პროცესები მიმდინარეობს, გამოცდილების გაზიარება შემომთავაზეს, ლაპარაკია მოლდოვაზე, უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანაზე.

— ელოდით, რომ თქვენი ძმა ნაცმოძრაობას დატოვებდა?

— არა, ამის შესახებ ორი დღით ადრე გავიგე და ვურჩიე, დაფიქრებულიყო და ყველა ნიუანსი გაეთვალისწინებინა, რაც ამას მოყვებოდა.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ერთი, 13 წლის გოგონა...

— მოდით, ბატონო კოტე, ბოლო კითხვა თქვენ დამისვით და მოვრჩეთ.

— ვანო, რატომ ფიქრობდით, რომ გუნდის შიგნით რაღაც საკითხების განხილვაში ვიქნებოდი ჩართული?

— იმიტომ, რომ მიშას მეგობარი მეგონეთ — სააკაშვილის გვერდით მისი იუსტიციის მინისტრობის დროიდან ჩანდით. ჩვენც ერთმანეთი სწორედ მაშინ გავიცანით...

— დიახ, მახსოვს, მაგრამ პოლიტიკა პოლიტიკოსების საქმეა, სასამართლო კი სასამართლოა და არასოდეს მიფიქრია, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩავრეულიყავი, თუმცა რაღაცები არ მომწონდა.

— მაგალითად?

— მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით მოხდა, თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლის დანგრევა სწორი არ იყო.

— დღეს ხომ არ ნანობთ, რომ თავის დროზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას დათანხმდით?

— არა, თუმცა თავიდან ერთი კვირა ვიფიქრე...

— რაც პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა, მიშასთან ურთიერთობა გქონიათ?

— არა...

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ოპოზიციისა და ხელისუფლების „ძალიან სასაცილო“ შეხვედრის დეტალები

გახდება თუ არა პაატა ბურჭულაძე ახალი ცენტრის ლიდერი

სამ პროცესს — პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენას, კანცელარიასთან ლამის ერთთვიან შიმშილობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებულ აქტიურობას, ერთი შეხედვით, საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ლოგიკურ კითხვებს ბადებს: რატომ გამოჩნდა მსოფლიო ბანის, ბურჭულაძის „განვითარების ფონდი“ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და ქმნის თუ არა ხელისუფლებას რეალურ საპირწონე ძალას? იქნებ, სწორედ ამიტომ, კუთხეში მიყენებულმა „ოცნებამაც“ დააჩქარა პროცესები და არასაპარლამენტო ოპოზიციას, რომელსაც ერთი წელი არც კი ესალმებოდა, საარჩევნო ცვლილებების პრეზენტაცია გაუმართა და დიალოგი შესთავაზა. ირმა ინაშვილსა და პატრიოტთა ალიანსის სხვა წევრებს კი, ვინც კანცელარიის წინ 3 კვირაა შიმშილობენ, ვიცე-პრემიერ კალაძის პირით შეუთვალა, შუალედური არჩევნების დარღვევებზე ერთად ვიმსჯელოთ, ოღონდ აქცია შეწყვიტეთო. „ოცნებამ“ ხელი მართლა „ოპოზიციის მაჯისცემას“ დაადო თუ მიხვდა, რომ წინასაარჩევნოდ პროცესები ისედაც დაჩქარებულია, მით უმეტეს, ახალი მოთამაშის გამოჩენის შემდეგ და ცოტა თავადაც უნდა გაინძრეს?

თუკი წინა კვირას განვითარებულ მოვლენებს გავაანალიზებთ, აშკარად საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ შემქმნელის, საოპერო მომღერლის, პაატა ბურჭულაძის გააქტიურება ლიდერობს. „საქართველოს განვითარების ფონდის“ დაფუძნების შესახებ ბურჭულაძემ თავად ისაუბრა, არც პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხა, არც ის, რომ შესაძლოა, კენჭი პრეზიდენტობაზე იყაროს და არც გავრცელებული ხმა უარუყვია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან მოლაპარაკების შესახებ. ამ კონტექსტში პირველი, ვინც ბურჭულაძემ დაასახელა, ნომერპირველი მოქალაქე, ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა და ისიც არავის გაკვირვებია, მოლაპარაკებების მეორე მონაწილე ირაკლი ალასანია რომ იქნება, თუმცა კონსულტაციების დეტალები ბურჭულაძემაც და სხვებმაც არ გაახმაურეს. როგორც მსოფლიო ბანმა განაცხადა, თავის გეგმებს დეტალურად ფონდის პრეზენტაციის დღეს, 20 დეკემბერს გაგვიმხელს. **„თუ ცხოვრება მანახებს, რომ ჩემი გზა პოლიტიკაა, ამას გავაკეთებ“,** — დასძინა ბურჭულაძემ და კულისებში გაუჩინარდა.

სამაგიეროდ, კულისებიდან „ოცნების“ პირველი პირები გამოვიდნენ და მთავრობის კანცელარიის წინ მოშიმშილე 50-მდე ადამიანის იგნორირება შეწყვიტეს.

ვიცე-პრემიერმა **კახი კალაძემ** განაცხადა, მზად ვარ, პატრიოტთა ალიანსის წევრებთან მოლაპარაკებები გავმართოო: **„მოშიმშილეებს აქამდე არ შევხვედრივარ. ვიცი, პრემიერმა მათ შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. მზად ვართ, დავსხდეთ, ერთად გავიაროთ ნებისმიერი კითხვა ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით და თუ რამე პრობლემა არსებობდა, ერთად მოვაგვაროთ“.** ირმა ინაშვილმა, ემზარ კვიციანმა, ადა მარშანიამ და ლევან თედიაშვილმა კანცელარიის წინ შიმშილობის აქცია 9 ნოემბერს, საარჩევნო სისტემის შეცვლისა და ორი მინისტრის გადაყენების მოთხოვნით დაიწყეს. შემდეგ მოშიმშილეთა რიცხვი გაიზარდა და ორი კვირის შემდეგ, ღია ცისქვეშ, უკვე 50 კაცი შიმშილობდა. როგორც 21 ნოემბერს გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე შევიტყვეთ, მოშიმშილეები გეგმა „ბე“-ზე გადავიდნენ და განაცხადეს, რომ აქციას საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონიდან პატრიოტთა ალიანსის მიერ საკრებულოში გაყვანილი ყველა დეპუტატი შეუერთდება; ასევე შეიქმნა ერთიანი საპროტესტო კერა თბილისში, მოშიმშილეთა რაოდენობამ კი 100 კაცს გადააჭარბა. მათ შორისაა 14 დეპუტატიც. პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი კახი კალაძის განცხადებას ასე გამოეხმაურა: თუ ხელისუფლება ჩვენს პირობებს დააკმაყოფილებს, შიმშილობაზე უარს ვიტყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აქცია უფრო გაფართოვდებაო. მართალია, მოშიმშილეები თავდაპირველად აქცენტს „ოცნების“ მთავრობის რიგებიდან რესპუბლიკელი მინისტრების — თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის განდევნაზე აკეთებდნენ, მაგრამ მოგვიანებით, ინაშვილმა განაცხადა, საგარეჯოს შუალედური არჩევნების შედეგებით მაინც ყველაფერი გასაგებია და უკვე მომავალი, 2016 წლის არჩევნების დაცვის მიზნით ვშიმშილობთო. მოკლედ, მოშიმშილეებმა სრულიად ახალი და საქმიანი მოთხოვნები გააჟღერეს, რაც, ისევ და ისევ, წინასაარჩევნო ცვლილებებს ეხება: **„შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საზოგადოებას კითხვები აღარ აქვს. დღეს ჩვენ უკვე 2016 წლის არჩევნებზე ვსაუბრობთ. ჩვენც და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებსაც გვჭირდება მყარი გარანტია, რომ 2016 წლის არჩევნები არ გაყალბდება. მოვითხოვთ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას. ვერც დაბალი და ვერც მაღალი თანამდებობის პირი ამომრჩეველზე ზეწოლას აღარ უნდა ახდენდეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. უნდა შეიქმნას თანასწორი საარჩევნო პირობები. ვფიქრობთ, სავალდებულო უნდა იყოს არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიეცემა. ამ საკითხების გარშემო ხელისუფლებასთან სასაუბროდ ჩვენც მზად ვართ, მაგრამ შიმშილობა არ შეწყდება, ვიდრე „ოცნება“ ღიად და საჯაროდ არ დაგვპირდება, რომ საარჩევნო გარემო შეიცვლება. თუ ეს ძალიან მარტივი პირობები დაკმაყოფილდა, შიმშილობაზე უარს ვიტყვით. თუ არადა, შიმშილობაც გაგრძელდება და ეს პროცესიც გაფართოვდება“,** — განაცხადა **ირმა ინაშვილმა.** ამ განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოშიმშილე ოპოზიციამ ძირითადი აქცენტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნაზე გადაიტანა. სხვათა შორის, ამ მოთხოვნით, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, წელზე მეტია, ლამის მსოფლიო მოიარეს.

მესამე პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში სწორედ ინტერპარტიულ ჯგუფს მიჰყავს, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ სცადა ხელისუფლებასთან საარჩევნო ცვლილებებზე დალაპარაკება, შექმნა მოლაპარაკების ფორმატი, 13-მა პარტიამ ხელი ერთსა და იმავე მოთხოვნებსაც მოაწერა და ამ პაკეტის განხილვა „ოცნებასაც“ შესთავაზეს, სხვათა შორის, კულუარულადაც, თუმცა პასუხიც არ მიუღია. შედეგად კი, ირმა ინაშვილის გარდა, შუალედურ არჩევნებს ყველა ოპოზიციური პარტია გაემიჯნა, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობაც. „ოცნებამ“ გააანალიზა, რომ ახლა მის წინააღმდეგ ის ერთადერთი პარტიაც შიმშილობს, ვინც მასთან ერთად, იგივე საარჩევნო კანონის პირობებში, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, თუმცა 2016 წელს ამის იმედი აღარ უნდა ჰქონ- დეს და პირველი ნაბიჯი გადადგა — ოპოზიციის ინტერპარტიულ ჯგუფს მოლაპარაკების მაგიდასთან დაუძახა. იმის ფონზე, რომ მთელი წელი „ოცნებას“ საარჩევნო ცვლილებებზე ხმა არ ამოუღია, 21 ნოემბრის შეთავაზებები ლექციას უფრო ჰგავდა, ვიდრე — საქმიან წინადადებას, რასაც არასაპარლამენტო ოპოზიცია იმით ხსნის, რომ „ოცნება“ ივანიშვილის პოზიციას არ იცნობს და მის გარეშე რამე კონკრეტულის თქმა არ შეუძლია.

21 ნოემბრის შეხვედრაზე, რომელსაც მმართველი გუნდიდან ორი ვიცე-სპიკერი — ზვიად ძიძიგური და მანანა კობახიძე, ასევე პარტია „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ესწრებოდნენ, ოპოზიციამ 4 მოთხოვნა დააყენა: 1. საარჩევნო უბნების ვიდეოკონტროლი; 2. არჩევნების მაჟორიტარული სისტემის გაუქმება; 3. საარჩევნო კომისიების პრიორიტეტის წესით დაკომპლექტება; 4. კანონის მიღება, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას სავალდებულოს გახდის. საპასუხოდ, „ოცნებამ“ 13 პარტიას თავისი წინადადებები წარუდგინა, რომელიც ლაკონურია: 2020 წლამდე არაფერი შეიცვლება! სწორედ ამიტომ, კვლავ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსვლა ხდება აქტუალური — თუკი არაფერი იცვლება და ირმა ინაშვილის მაგალითზეც ვნახეთ, როგორც მოექცევა არჩევნებში ხელისუფლება ოპოზიციას, იქნებ, ახალი ცენტრია საჭირო? იქნებ, საჭიროა „ოცნების“ საპირწონე ძალა, რომელიც არასაპარლამენტო პარტიებს ისე ჩაიბამს, როგორც სამი წლის წინ, ბიძინა ივანიშვილმა ჩაიბა და პარლამენტშიც შეიყვანა? რატომ დარჩნენ უკმაყოფილო „ოცნების“ შეთავაზებით, გაგრძელდება თუ არა მათ შორის მოლაპარაკება და რას ელიან კიდევ ერთი ქველმოქმედის, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური გააქტიურებით? — „ვერსიას“ 21 ნოემბრის შეხვედრაზე მყოფი 2 სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ესაუბრა.

გოჩა ჯოჯუა: „ოცნებიდან“ შეხვედრას საკმაოდ სერიოზული საპარლამენტო შემადგენლობა ესწრებოდა, თუმცა მათ შორის ერთსაც არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება, რადგან არ იციან ბიძინა ივანიშვილის პოზიცია. ყველა ხედავს, რომ სისტემა შესაცვლელია და ამაში გვეთანხმებიან, მაგრამ არ იციან, ბიძინა რას იტყვის და მასთან კომუნიკაციაც არ აქვთ. აი, ეს ქმნის დღეს მთავარ პრობლემას. მათი წინადადებაც ძველი იყო. ეგონათ, კომპრომისზე არ წავიდოდით და დემარშს მოვაწყობდით, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ვუთხარით, მზად ვართ, დავთმოთ კონსტიტუციაში ცვლილება და სხვანაირად შევთანხმდეთო. „ოცნება“ ამბობს, რომ ამ ცვლილებებს მაჟორიტარები აპროტესტებენ, თუმცა თავადვე შემოაქვს ისეთი ცვლილება, რომლის შედეგადაც ზოგი რაიონი უქმდება, ზოგი ერთიანდება. ისმის კითხვა: რატომ არიან ამაზე თანახმა მათი მაჟორიტარები, თუკი შედეგი მაინც ზოგიერთი მაჟორიტარული რაიონის გაუქმებაა? გამოდის, „ოცნებამ“ აღიარა, რომ არასამართლებრივ სივრცეში, ამ მაჟორიტარებთან შეთანხმება-გარიგება მოხდა, მოდი, სიაში ჩაგწერ და შენს მაჟორიტარულ რაიონს გავაუქმებო. ეს „ოცნების“ მხრიდან ჩვეულებრივი კორუფციული აღიარება იყო, ამიტომ, ჯამში, ეს შეხვედრა ძალიან სასაცილო გამოვიდა.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის გააქტიურებას, ჩანასახშივე მკვდარია იდეა, რომ ივანიშვილის საპირწონე ძალა უნდა შექმნას. ჯერ ერთი, კაცი თავად ამბობს, რომ ივანიშვილთან მოლაპარაკებას აწარმოებს და მასთან მოსალაპარაკებლად დადის, შენი საპირწონე უნდა ვიყოო? მასთან იმიტომ დადის, რომ ფიქრობს, შექმნას გარკვეული ცენტრი და ბიძინასგან „სანქციას“ იღებს. ვფიქრობ, ეს შეთანხმება მაინც „აფეთქდება“ და უკეთეს შემთხვევაში, ბურჭულაძე რამდენიმე მაჟორიტარს იმ რაიონში გაიყვანს, სადაც „ოცნება“ ბიძინასთვის მთლად მისაღებ კანდიდატს ვერ დააყენებს. პაატა ბურჭულაძე ბიძინა ივანიშვილის შემავსებელი იქნება. არც იმას გამოვრიცხავ, ბურჭულაძემ მარტო ივანიშვილთან კი არა, სააკაშვილთანაც ილაპარაკოს, რადგან ის პოლიტიკოსი არაა და სურს, ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს, თუმცა არ მგონია, მის გარშემო რეალური, სერიოზული ცენტრი შეიქმნას“.

ზურაბ ხარატიშვილი: „ოცნებას“ ჩვენთან ამდენი ხანია ურთიერთობა არ ჰქონია, როგორც იქნა, კონტაქტზე გამოვიდა და სურათი იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდით. შეხვედრაზე, სადაც „ოცნებიდან“ საკმაოდ მაღალი პირები მოვიდნენ, ერთსაც კი არ ჰქონდა კომპეტენცია, თუნდაც ის ეთქვა, გააგრძელებენ თუ არა ჩვენთან დიალოგს. გვითხრეს, კოალიციის შიგნით შეთანხმებაც კი ძალიან გაგვიჭირდა და ერთადერთი, რაზეც ყველა თანახმაა, ისაა, რომ 2016 წელს არაფერი შეიცვლებაო. მიკვირს, საერთოდ, როგორ იმართება ეს ქვეყანა, რადგან ხელისუფლებაში დამოუკიდებლად, ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც ვერ იღებენ. ერთი წელია, ერთმანეთში თვითონ ვერ თანხმდებიან და ჩვენთან რა კონსენსუსი უნდა შედგეს? „ოცნებაში“ ვითარება ტრაგიკულია! ასე რომ, ეს შეხვედრა აბსოლუტურად ფუჭი აღმოჩნდა.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, მას ჯერ ფორმალურად ისიც არ უთქვამს, მართლა მოდის თუ არა პოლიტიკაში. გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში ტრადიციაც იქცა ქველმოქმედების პოლიტიკაში მოსვლა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც ამ გზას დაადგება, თუმცა არ ვიცით, რა პოზიცია აქვს ქვეყნის ეკონომიკაში, პოლიტიკაში, მედიაში მიმდინარე მოვლენებზე, გლობალურ პოლიტიკურ პროცესებზე და ა.შ. იმედია, დეკემბრის ბოლოს გამოჩნდება, რა გეზი უჭირავს და მასთან რა ურთიერთობა შეიძლება გვქონდეს. რამდენიმე ადამიანზე, ვინც დღეს მის გარშემო ტრიალებს, პოზიტიური შთაბეჭდილებები მაქვს, პიროვნულად, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურად, შეიძლება მათი პოზიციები გავიზიაროთ. ისე არ ვიცი, რამ უბიძგა მსოფლიო კლასის ხელოვანს ქართულ პოლიტიკაში მოხვდეს. არც ის ვიცი, იქნება თუ არა ისეთივე ვარსკვლავი ქართულ პოლიტიკაში, როგორც მსოფლიოშია თავის სფეროში, მაგრამ ჯერჯერობით, მისი ამ ნაბიჯის არც რეალური მიზეზი ვიცი, არც მიზანი და მოტივაცია. ვაცადოთ ადამიანს, ჯერ თავად ჩამოყალიბდეს, გადაწყვიტოს, რა უნდა და ვისთან რა დამოკიდებულება აქვს“.

ვერსიანიუსი

ტერორიზმის ბრალდებით დავით ბორჩაშვილი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, **„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მოქალაქე დავით ბორჩაშვილი დააკავეს სსსკ-ს 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას გულისხმობს“.**

დამატებით ინფორმაციას ბორჩაშვილის საქმის შესახებ, მათ შორის იმაზე, თავდაპირველად რატომ გააბრუნეს თურქეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქე უკან, სუს-ში არ ახმაურებენ.

29 წლის დავით ბორჩაშვილის ადგილსამყოფელის დადგენის მოთხოვნით რამდენიმე დღის წინ პანკისში საპროტესტო აქცია გაიმართა. ბორჩაშვილის ოჯახის ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი წელიწადნახევრის წინ სამუშაოდ თურქეთში გაემგზავრა. ისინი ვერ აკონკრეტებენ, იმყოფებოდა თუ არა ბორჩაშვილი სირიაშიც.

21 ნოემბერს, საქართველოში დაბრუნებისას, დავით ბორჩაშვილი სახელმწიფო საზღვარზე დააკავეს და მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, რამდენიმე საათის შემდეგ უკან გააბრუნეს. თურქმა სამართალდამცველებმა დეპორტირებული დავით ბორჩაშვილი ისევ უკან — საქართველოში გამოუშვეს, რის შემდეგაც მისი დაკავება განხორციელდა.

„ინტერპრენიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პროკურატურის გაზრდილი ბიუჯეტი და გაუხსნელი საქმეები

საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე, ხმათა უმრავლესობით, საპროკურორო საბჭომ მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, ირაკლი შოთაძე აირჩია. ამის შემდეგ, შოთაძის კანდიდატურა საქართველოს მთავრობამ უნდა მოიწონოს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინოს. თუ პარლამენტი დაამტკიცებს, ირაკლი შოთაძე პირველი არჩეული პროკურორი იქნება, რომელიც ამ თანამდებობას 6 წლის განმავლობაში შეინარჩუნებს, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, ქვეყანას არჩეული პროკურორი ეყოლება თუ დანიშნული, რადგან სამართლიანობის აღდგენის მოტივით, მთავარ პროკურატურას უამრავმა დაზარალებულმა მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. არადა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ერი და ბერი, დამნაშავე ნაციონალებისა და იმ მაღალჩინოსნების დასჯას ელოდა, რომლებიც 9 წელი ბიზნესს ატერორებდნენ. ამასობაში კი, მთავარი პროკურატურის საბიუჯეტო დაფინანსება, პროკურორების რაოდენობა და მათი ხელფასები ყოველწლიურად იზრდება.

„შემოჭერილი ქამრები“ მთავარ პროკურატურაში

2012 წლის შემდეგ, საქართველოს მთავარი პროკურატურის დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა ბიუჯეტის ზრდა გახსნილი საქმეების რაოდენობას არ დასტყობია. არადა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის მოტივით, პროკურატურას უამრავმა დაზარალებულმა მიმართა. ისინი ძველი საქმეების გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ. პროკურატურაში საქმეების სიმრავლესა და პროკურორების სიმცირეს იმიზეზებენ, სამართლიანობის აღდგენის მსურველები კი ყურადღებას საგამოძიებო სისტემის ხარვეზებზე ამახვილებენ.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის შემდეგ, საქართველოს მთავარ პროკურატურაში თანამშრომელთა რაოდენობა გაორმაგდა, რის გამოც ამ უწყების დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა. მეტიც, კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, საბიუჯეტო სახსრები იხარჯება მთავარი პროკურორის დაცვასა და კვებაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ-ახსნილი არ არის და შესაბამისად, არ ჩანს.

> **„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენით გაიზარდა მთავარი პროკურატურის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2011 წლიდან დღემდე. ოფიციალურად, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მთავარი პროკურატურის დაფინანსება 16 900 000 ლარით განისაზღვრა, 2012 წელს — 17 223 600 ლარით, 2013 წელს — 27 305 100 ლარით, 2014 წელს — 32 500 000 ლარით, 2015 წელს — 33 000 000 ლარით, 2016 წელს კი 35 000 000 ლარით იზრდება. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვითვე, მთავარ პროკურატურაში მომუშავეთა რიცხოვნობა 2012-დან 2014 წლის ჩათვლით, 830 ადამიანით იყო განსაზღვრული, 2015 და 2016 წლებში კი 860 თანამშრომელი ფიქსირდება.**

სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქამრების შემოჭერის“ ნაცვლად, პირიქით, 2011 წლიდან დღემდე, მთავარი პროკურატურის დაფინანსება გაორმაგებულია. თანამშრომელთა რაოდენობაც მომატებულია, ოღონდ სახელმწიფო ბიუჯეტში ოფიციალურად არაა მითითებული, ამ თანამშრომლებიდან რამდენია პროკურორი. ნებისმიერ შემთხვევაში, ოფიციალური მონაცემებითაც აშკარად ჩანს, რომ პროკურატურაში გაუხსნელი საქმეები თაროზე არ უნდა იყოს შემოდებული.

„ვერსიამ“ საქართველოს მთავარი პროკურატურის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ოფიციალური წერილით მიმართა. გვაინტერესებდა, სულ რამდენი თანამშრომელი (პროკურორი, პროკურორის თანაშემწე) ირიცხება საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012-დან 2015 წლის ჩათვლით? ასევე, დავინტერესდით, რა უჯდებოდა პროკურატურას მთავარი პროკურორების შენახვა წლების მიხედვით — 2012-დან 2014 წლის ჩათვლით და მათ მიერ გახარჯული თანხები, მათ შორის დაცვის, კვებისა და სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაციაც მოვითხოვეთ. კანონით დადგენილ ვადაში, საქართველოს მთავარი პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსმა, **ნათია გორგოძემ** ოფიციალურად გვიპასუხა:

„2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურაში მუშაობდა 713 მუშაკი, მათ შორის 405 პროკურორი; 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურაში მუშაობდა 835 მუშაკი, მათ შორის 428 პროკურორი; 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურაში მუშაობდა 815 მუშაკი, მათ შორის 441 პროკურორი; დღეის მდგომარეობით, პროკურატურაში მუშაობს 872 მუშაკი, მათ შორის 439 პროკურორი. მითითებულ პერიოდში, მთავარ პროკურორებზე შენახვის (დაცვა, კვება) ხარჯები არ გაწეულა“.

პროკურატურის სახელფასო სისტემა

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2015 წლის თებერვლიდან, საქართველოს მთავარ პროკურატურაში სახელფასო სისტემა შეიცვალა. მთავარი პროკურორის ხელფასი 3 910 ლარით, მისი მძღოლის ყოველთვიური ანაზღაურება კი 500 ლარით განისაზღვრა. მთავარ პროკურატურაში 102 ახალი საშტატო ერთეული შეიქმნა და 59 გაუქმდა, რაიონულ პროკურატურებში 12 საშტატო ერთეული (დარაჯის — 2 და დამლაგებლის — 10) გაუქმდა.

შეიცვალა „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება და პროკურატურაში ხელფასები შემდეგნაირად განისაზღვრა: მთავარი პროკურორი – 3 910 ლარი; მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე – 3 520 ლარი; მთავარი პროკურორის მოადგილე – 3 400 ლარი; დეპარტამენტის უფროსი – 2 930 ლარი; დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი – 2 450 ლარი; I კატეგორია სამმართველოს უფროსი – 2 345 ლარი; II კატეგორია სამმართველოს უფროსი — 2 000 ლარი; სამმართველოს უფროსი, მთავარი ბუღალტერი – 2 345 ლარი; უფროსი პროკურორი (საგამოძიებო ნაწილი (დეპარტამენტი), გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი), სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი) — 2 370 ლარი; პროკურორი (საგამოძიებო ნაწილი (დეპარტამენტი), გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი), სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი) — 2 310 ლარი; უფროსი პროკურორი — 1 900 ლარი; პროკურორი – 1 870 ლარი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი – 2 430 ლარი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი – 2 310 ლარი; საგამოძიებო ნაწილის საქმისწარმოების, ანალიზისა და კონტროლის განყოფილების უფროსი – 1 870 ლარი. დანარჩენ საშტატო ერთეულებზე (მძღოლი) ხელფასი 500-დან 1 050 ლარამდე განისაზღვრა.

2 588-ლარიანი პრემიები

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული მწირი ინფორმაციის შემდეგ, „ვერსიამ“ დასახმარებლად „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ — IDFI-ს მიმართა. დავინტერესდით, კონკრეტულად რა ინფორმაციას ფლობდა IDFI მთავარი პროკურატურის დაფინანსებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამ ორგანიზაციაში მხოლოდ 2013 წლის მონაცემები ჰქონდათ და ისიც არასრულად, რადგან მთავარი პროკურატურიდან მწირი და არცთუ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო.

IDFI-ს ინფორმაციით, 2013 წლის განმავლობაში, ჯამურად, საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებმა, 1 646 027 ლარის ოდენობის პრემია მიიღეს. რაც შეეხება პროკურატურის თანამშრომლებზე (გარდა თანამდებობის პირებისა) ამავე დროის პერიოდში გაცემულ პრემიებს, 2013 წელს, 4 254 830 ლარის პრემია გასცეს. შესაბამისად, 2013 წელს, პროკურატურის სისტემაში, თანამდებობის პირებსა და რიგით თანამშრომლებზე, ჯამურად, 5 900 857 ლარის ოდენობის პრემია გაიცა:

„საქართველოს კანონმდებლებით, პროკურატურის სისტემაში დასაქმებული პირი ითვლება თანამდებობის პირად, თუ მას ერთ-ერთი შემდეგი პოზიცია უჭირავს: საქართველოს მთავარი პროკურორი ან მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის ან სამსახურის ხელმძღვანელი, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისის, საოლქო ან რაიონული პროკურორი. საქართველოს მთავარ პროკურორს სამი მოადგილე ჰყავს, პროკურატურაში 12 დეპარტამენტი და სამსახურია. რაც შეეხება საოლქო და რაიონული პროკურატურებს, სულ 37 ასეთი ქვედანაყოფია ჩამოყალიბებული. შესაბამისად, პროკურატურის სისტემაში დასაქმებულია 53 თანამდებობის პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროკურატურის თანამდებობის პირებზე, ყოველთვიურად დარიცხული პრემიის საშუალო ოდენობა, 2013 წელს, დაახლოებით, 2 588 ლარს შეადგენდა. სამწუხაროდ, ინფორმაციის არასრულყოფილად მოწოდების გამო, რთულია იმის იდენტიფიკაცია, თუ რომელმა თანამდებობის პირმა რა ოდენობის პრემია მიიღო, თუმცა თუ ჩვენს მიერ 2012 წელს მიღებულ საჯარო ინფორმაციას გადავხედავთ, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მივიღეთ, აშკარაა, რომ მთავარი პროკურორი და მისი მოადგილეები, პრემიის სახით, 2012 წელს, ყოველთვიურად 5 870 ლარს იღებდნენ“, — განუცხადეს „ვერსიას“ IDFI-ში.

ჩანაცვლებული ავტომობილები და კომპიუტერები

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს მთავარი პროკურატურისგან გამოითხოვა ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ. კერძოდ, IDFI-ს მკვლევარები ჩანაცვლებული ავტომობილებით, კომპიუტერული ტექნიკითა და გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვებით დაინტერესდნენ.

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით გაირკვა, რომ 2013 წელს, ავტომობილების ჩანაცვლების გზით, ფასის სხვაობა შესყიდულ და ჩანაცვლებულ ავტომანქანებს შორის, ჯამში, 1 113 877 ლარს შეადგენდა. ავტომობილთა ჩანაცვლების მიზნით, ხელშეკრულებებს მხოლოდ სამ კომპანიასთან — შპს „ჯი-თი მოტორსთან“, შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ კომფანიასა“ და შპს „ავტო თრეიდ ინთან“ აფორმებდნენ.

„რაც შეეხება უშუალოდ ჩანაცვლებულ და ჩასანაცვლებელ ავტომობილთა ღირებულებას, თვალსაჩინოებისთვის, მაგალითად, 2013 წლის 10 ივლისს, 1999 წელს გამოშვებული, 1 000-ლარიანი RENAULT CLIO, 2013 წლის TOYOTA LAND CRUISER 200-ით ჩაანაცვლეს, რომლის ღირებულება 124 118 ლარი იყო. შესაბამისად, ფასის სხვაობა შესყიდულ და ჩანაცვლებულ ავტომობილებს შორის 123 118 ლარია. იგივე პრინციპით, პროკურატურამ, 2013 წლის 10 დეკემბერს, 2008 წელს გამოშვებული ავტომანქანა LEXUS LX 570, იგივე მარკის ავტომობილით ჩაანაცვლა, რომელიც 2013 წლის მოდელია. ახალი ავტომობილი 174 575 ლარი დაჯდა, ხოლო ამ ორ ავტომობილს შორის ფასთა სხვაობამ 106 575 ლარი შეადგინა. 2013 წლის 11 დეკემბერს, ავტომანქანა VAZ, ნარჩენი ღირებულებით — 3 000 ლარი, 65 890 ლარის ღირებულების TOYOTA CAMRY-ით ჩაანაცვლეს. 2013 წლის 13 დეკემბერს, ავტომანქანა VAZ, ნარჩენი ღირებულებით — 4 500 ლარი, 103 594 ლარი ღირებულების ავტომანქანა TOYOTA LAND CRUISER PRADO-თი ჩანაცვლდა“, — აცხადებენ IDFI-ში.

IDFI-ს მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ავტომობილების ჩანაცვლების გზით, პროკურატურას შესაძლებლობა ჰქონდა, გამარტივებული შესყიდვები, ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით განეხორციელებინა. შესაბამისად, მათ საკმარისი საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ მთავარმა პროკურატურამ, 1 113 877 ლარი, აუცილებელი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის გარეშე განკარგა. IDFI-ს ინფორმაციით, 2013 წელს, პროკურატურის ბალანსზე 146 ავტომობილი ირიცხებოდა, რომელთა შესყიდვაც ჯამში, 5 857 324 ლარი დაჯდა:

„2013 წელს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში კომპიუტერული ტექნიკა ორჯერ ჩანაცვლდა. ერთ შემთხვევაში, პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი (Pentium 4) ღირებულებით — 85 ლარი, 4 996 ლარი ღირებულების iMac i5-ით ჩანაცვლდა. მეორე შემთხვევაში, იგივე მონაცემების პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი, რომლის ნარჩენი ღირებულება 85 ლარი იყო, 7 150 ლარის ღირებულების iMac i5-ით ჩაანაცვლეს. ისევე, როგორც ავტომანქანების შემთხვევაში, ჩანაცვლების გზით შეძენილი კომპიუტერული ტექნიკა, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ გამოუტანიათ და შესაბამისად, ამგვარად განხორციელებული შესყიდვა საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა“, — აცხადებენ IDFI-ს მკვლევარები.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში“ აცხადებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას. კანონის თანახმად, გადაუდებელ აუცილებლობად ითვლება ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

„საქართველოს პროკურატურის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2013 წლის განმავლობაში, გადაუდებელი აუცილებლობით შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, საერთო ჯამში, 83 455 ლარს შეადგენდა. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობით შეისყიდეს 30 კომპიუტერი, რომელთა საერთო ღირებულება 24 540 ლარი იყო, ვიდეო და ფოტოკამერის ორი კომპლექტი, რაც 15 582 ლარი დაჯდა და პერსონალური კომპიუტერი, რომელშიც 4 894 ლარი გადაიხადეს. სამწუხაროდ, საქართველოს პროკურატურას არ მოუწოდებია შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობები ზემდგომ, ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან. ამიტომ ამ საქონლისა და მომსახურების „გადაუდებელი აუცილებლობით“ შეძენის მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დგება“, — მიაჩნიათ IDFI-ს მკვლევარებს.

პარიზის ტერაქტები ვიზალიბერალიზაციაზე გავლენას არ მოახდენს

ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის ახალი თეზისები

მაკა ლომაძე
555-27-95-13

13 ნოემბრის სისხლიანი პარიზული ქრონიკის მერე, საფრანგეთის ლიდერმა მსოფლიო საზოგადოებას „გახლეჩილი და არათანმიმდევრული“ უწოდა და რუსეთს და აშშ-ს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ძალების გაერთიანება შესთავაზა. ამავე კონტექსტში, 18 ნოემბერს, ბრიუსელში, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ და ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და ევროკავშირის გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანმა საფუძველი განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ახალ ერთობლივ კომუნიკაციას დაუდეს. მეორე დღეს კი, ეს ინიციატივა ქართველი ჟურნალისტებს ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო ნატალემ წარუდგინა და განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, ახალ მიდგომებსა და სამომავალო ნაბიჯებზე დეტალურად ისაუბრა.

კარლო ნატალეს თქმით, ევროკავშირის წინაშე სამი ახალი პრიორიტეტი გამოიკვეთა: სტაბილურობა, დიფერენცირებული მიდგომა და პროცესზე პასუხისმგებლობის ხელში აღება: **„სტაბილიზაცია, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, თავიდანვე სამეზობლო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა, არასტაბილური გარემო რეფორმებს აფერხებს. იმის გამო, რომ ყველა პარტნიორი არ იღვწის ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, დიფერენცირებული მიდგომა და პარტნიორის მიერ „პროცესის მეპატრონეობა“ განახლებული სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნება.“**

ნატალეს თქმითვე, აქცენტი გაკეთდება პარტნიორ ქვეყნებში უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებაზე, განსაკუთრებით, კონფლიქტების პრევენციის, კონტრტერორიზმისა და რადიკალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. ასევე, მეტი ყურადღება დაეთმობა პარტნიორებთან მუშაობას ენერგოუსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების სფეროში.

როგორც 18 ნოემბერს იოანეს ჰანმა განაცხადა, **„ჩვენს წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სამეზობლო პოლიტიკის სტაბილიზაციაა. კონფლიქტები, ტერორიზმი და რადიკალიზაცია ყოველ ჩვენგანს ემუქრება, თუმცა სიღარიბე, კორუფცია და ცუდი მმართველობაც არასტაბილურობის წყაროა. სწორედ ამიტომ ვაპირებთ, რომ პარტნიორებთან ურთიერთობაში მეტი ყურადღება გადავიტანოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მართლაც ჩვენს საერთო ინტერესს წარმოადგენს, განსაკუთრებით ეკონომიკურ განვითარებაზე, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების დასაქმებას და მათი უნარების განვითარებას“.**

კარლო ნატალემ კი ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, სტაბილურობა ჯანსაღი ეკონომიკით მიიღწევა, ამიტომ, ხელი უნდა შეეწყოს ახალგაზრდების სათანადო განათლებასა და დასაქმებას. სწორედ ამიტომ, ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში, ევროპის სამეზობლო ქვეყნებში ახალგაზრდების სასწავლო სტიპენდიებით დაფინანსება გაიზრდება. ასევე, დღის წესრიგში დგას ტრენინგებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

კომუნიკაციაში ასახულია ევროკავშირის ახლებური მიდგომა აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მეზობლების მიმართაც.

„დღეს, როდესაც ევროკავშირის წინაშე ბევრი გამოწვევაა როგორც შიგნით, ისე მის საზღვრებთან, მეზობლებთან მყარი პარტნიორობის დამკვიდრება ჩვენთვის უმთავრესია. პარიზში, ასევე, ლიბანში, ეგვიპტეში, თურქეთსა და ერაყში ახლახანს მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ჩვენს წინაშეა გლობალური საფრთხეები და მათთან გასამკლავებლად საერთაშორისო თანამეგობრობა ერთიანი უნდა იყოს. ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ უსაფრთხო გარემო და ვეცადოთ, ერთად მოვაგვაროთ კრიზისები; ამასთან, უნდა დავეხმაროთ უღარიბეს რაიონებს განვითარებასა და ზრდაში და მოვაგვაროთ ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს მიგრაციას,“ განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ. მისივე თქმით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის დახმარებითაც გაგრძელდება საერთო ფასეულობებისა და ადამიანების უფლებების დაცვა და მოხდება უსაფრთხოების საკითხებში პარტნიორების უფრო ინტენსიურად ჩაბმა.

18 ნოემბერს აღნიშნულ იქნა, რომ რიგის სამიტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, აღმოსავლეთ პარტნიორობა, რეგიონალ დონეზე, უფრო გაძლიერდება. ხმელთაშუა ზღვის კავშირს მეტი წვლილის შეტანა შეუძლია სამხრეთ მეზობლებთან თანამშრომლობის მხარდაჭერაში. იგეგმება სხვა, სამეზობლოს გარეთ მყოფი ქვეყნების ჩართვაც იმ შემთხვევებში, თუ რეგიონალ გამოწვევებთან გამკლავება გახდება საჭირო.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს შემუშავდა, რომელშიც საქართველო თავიდანვე ჩაერთო. ამ პოლიტიკის მიზანი იმთავითვე ევროპის სამხრეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის წახალისება იყო, თუმცა **„ბოლო წლების მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ახალი მიდგომა გახდა საჭირო – ახალი პრიორიტეტების დასახვა და მუშაობის ახალი სტილის დანერგვა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების და პრეზიდენტ იუნკერის მიერ შემოთავაზებული განახლებული სამეზობლო პოლიტიკა საჯაროდ იქნა განხილული. ევროკავშირის წევრი ქვეყნების, პარტნიორი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, ანალიტიკური ჯგუფის, აკადემიური წრეებისა და საზოგადოების სხვა ჯგუფების დაახლოებით 250-მა წარმომადგენელმა წვლილი შეიტანა კონსულტაციების პროცესში. ეს ფართომასშტაბიანი გამოხმაურება ადასტურებს, რომ აუცილებელი იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განახლება როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდოლოგიურად,“** — ნათქვამია ევროკომისიის მიერ გავრცელებულ რელიზში.

კარლო ნატალემ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ევროკავშირის ღირებულებებისადმი ცნობადობა ამაღლდა, მაინც არაა საკმარისი ინფორმაცია ქართულ საზოგადოებაში იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, რაც მისივე თქმით, ევროკავშირმა და საქართველოს მთავრობამ ერთობლივად უნდა დაძლიონ.

„ვერსიის“ ექსკლუზიურ კითხვაზე, მოახდენს თუ არა პარიზის ტერაქტები ვიზალიბერალიზაციასა და ზოგადად, ევროკავშირის გაფართოებაზე გავლენას, კარლო ნატალემ უპასუხა: **„ეს გავლენას არ იქონიებს — ღია კარის პოლიტიკა უცვლელია და, ასევე, გავაძლიერებთ უსაფრთხოების ზომებს, რაც ამ მიმართულებით პარტნიორ ქვეყნებთან მეტ კოორდინაციას გულისხმობს.“**

„ვერსიის“ მეორე კითხვა ევროკავშირის სამომავალ პოლიტიკას შეეხებოდა ლტოლვილების მიმართ: **„უნდა დავყოთ უბრალო ლტოლვილები და ისინი, ვინც შეიძლება გამოყენებულ იქნან კრიმინალების მიერ მზაკვრული მიზნების მიღწევაში. იქნება კონტროლის მკაცრი მექანიზმი, რომ მხოლოდ ნამდვილი ლტოლვილები შევიფაროთ“.**

მომავალი თვეების განმავლობაში, 18 ნოემბერს წარმოდგენილი წინადადებები განხილული იქნება ევროკავშირის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რათა ერთობლივად განისაზღვროს პრიორიტეტები და სამომავლო ურთიერთობები.

საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ორი პირი ამხილეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იემენის რესპუბლიკის მოქალაქეები — 1997 წელს დაბადებული ანვად ჰამიდ ალი ჰამიდ ა. და 1986 წელს დაბადებული ამირ ალი მოჰამმედ ალი ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

პოლიციამ თბილისში „კანონიერი ქურდი“ დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რევაზ ლ. კანონიერი ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რევაზ ლ. ქურდულ სამყაროში აღიარებულია კანონიერ ქურდად. ბრალდებული ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს, ეთანხმება მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით ქურდული სამყაროს მხარდაჭერას საჯაროდ გამოხატავს. რევაზ ლ-ს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს წევრებთან, ასევე აქტიურად მოქმედებდა ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად და მონაწილეობდა ე.წ. ქურდულ გარჩევებში.

აგრეთვე დადგინდა, რომ 2011 წელს რევაზ ლ. საფრანგეთში სხვადასხვა ორგანიზებულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, საქართველოსა და საფრანგეთში ქურდული საერთოს — ე.წ. ობშჩიაკის თანხების შეგროვებისა და განკარგვის საკითხებში მონაწილეობდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება „კანონიერი ქურდობის“ ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით).

ძალოვნებმა ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობა გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ყაჩაღობაში დახმარების ბრალდებით, სამი პირი: 1985 წელს დაბადებული გელა ქ, 1995 წელს დაბადებული გოჩა ქ. და 1997 წელს დაბადებული ჯამბულ ქ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურის ოპერატორს – გელა ქ-ს გაურიგდნენ, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, იარაღის მუქარით, თანამზრახველებთან ერთად, ავტოგასამართი სადგური დააყაჩაღეს, საიდანაც 6 000 ლარი გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები ქუთაისში დააკავეს. სამივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ყაჩაღობაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 24-179-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ტერორისტი გლდანის ციხეში

ურანი სამზარეულოში და 20-წლიანი „სროკი“ არშემდაგრი ტერაქტისთვის

პატიმარი №0578

კვირაზე მეტია, ევროპა ტერორიზმმა მოიცვა და, პრაქტიკულად, ყოველდღე საფრანგეთსა და ბელგიაში ტერორისტების დასაკავებლად სპეცოპერაციები ტარდება. ტერორიზმი არის და, სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს იქნება კაცობრიობის პრობლემა... ტერორი არც საქართველოსთვისაა უცხო — მარტო ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ორი ტერორისტული აქტი რად ღირს... ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, რომ „ტერორისტებს“ წინა ხელისუფლების დროს საქართველოშიც იჭერდნენ. უფრო ზუსტად კი, როცა ხელისუფლებას ყურადღების გადატანა სხვა თემაზე უნდოდა, პოულობდა ადამიანებს, რომლებსაც ჯაშუშობასა და ტერორიზმს „მარტივად“ აბრალებდა და ვინც არ იბრალებდა... არადა, იყო პატიმარი, რომელიც ძალაუნებურად, მართლაც ჩაერთო საერთაშორისო ტერორიზმში და თან ისე, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. უფრო სწორედ, ამის შესახებ თავად არაფერი იცოდა.

2010 წლის ზამთარში, გლდანის ციხის პატიმრები გისოსებსმიღმა გასცქეროდნენ გლდანის გორაკებს და ანაზდად გამოჩენილ სატვირთო მანქანებზე ფიქრობდნენ. უფრო სწორედ, ნატრობდნენ, რაღაც სასწაულით იმ მანქანაში მოვხვდეთო, მაგრამ ყველაზე კარგად თავად იცოდნენ, რომ ასეთი სასწაული არ მოხდებოდა. რეალურად, თავისუფლება ხელის ერთ გაწვდენაზე იყო, სადღაც 40-50 მეტრში — სხვა ცხოვრება, სხვა სამყარო, მაგრამ სწორედ ეს მანძილი ჩანდა დაუძლეველად. იმის გამო, რომ გლდანის ციხეში ჯოჯოხეთური რეჟიმი იყო, პატიმრები ძირითადად ჩუმად ოცნებობდნენ, ჩუმად გასცქეროდნენ სივრცეს და ჩუმადვე ჰქონდათ იმედი... მოულოდნელად, „ა“ კორპუსზე რეჟიმი შემოვიდა. ნეტავ, რა მოელანდათო, ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პატიმარმა და ნარზე წამოჯდა. შემთხვევით კამერაში რომ შემოეხედათ, ნარზე წამონოლა შეიძლებოდა ცემის საფუძველი გამხდარიყო. პატიმრების საუბედუროდ, სწორედ მათი კამერა გაიღო და ნიღბიანი ადამიანები კამერაში დაუპატიჟებლად შემოვიდნენ.

„რა ხდება, ხომ ხართ ქურდულად?!“ — გაიკრიჭა რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაციკა.

პატიმრებს ხმა არ გაუღიათ და ის იყო, გასვლას აპირებდნენ, როცა რეჟიმის ერთ-ერთი წარმომადგენელი პატიმარ №0578-ს ჩააშტერდა.

„მომკალით და, საიდანღაც მეცნობა. ნეტავ, დაჭერილი ხომ არ მყავს, ოპერად რომ ვმუშაობდი, მაშინ?!“ — ეჭვით იკითხა.

„არა, რა დაჭერილი, პირველი ხოდკაა, სროკზე არ ყოფილა“, — მიუგდო ფაცაციამ.

„არა, მეცნობა, რა... მოდი, იცი, რა ვქნათ? ვიდრე გავიხსენებ, კარანტინში გაუშვი და აღვიდგენ, რა“, — სთხოვა ფაცაციას და იმანაც თავი დაუქნია.

„რას მიშვრები, ოლეგ? დღეს შაბათია, ამის ხუშტურების გამო კარანტინში მიშვებ, რაც იმას ნიშნავს, რომ პარასკევამდე ანუ კარანტინის დაშლამდე იქ უნდა ვეგდო, ძონძივით. კარგი, რა“, — ჩუმად უთხრა პატიმარმა ფაცაციას, თუმცა იმან ყური არ ათხოვა და კორპუსის ოფიცერს უთხრა, გაკარანტინე და თუ იტლიკინებს, შემოარტყიო. ოფიცერმა №0578-ს ანიშნა, გაემზადეო და მასაც სხვა რა გზა ჰქონდა — წინააღმდეგობის გაწევა მთელი კამერის დალეწვას ნიშნავდა და ბიჭები ცოდოები იყვნენ. №0578 ხუთ წუთში გაემზადა ან რა გამზადება უნდოდა, მაისური გამოიცვალა, ახალი სპორტული ამოიცვა, თბილი სვიტერი გადაიცვა და წავიდა.

კარანტინში ხალვათობა იყო, წინა დღით დაშლილი კარანტინი ჯერ მეოთხედითაც კი არ იყო შევსებული. №0578-ს კარანტინის საკანში ექვსი პატიმარი დახვდა, ექვსივე ახალი მოყვანილი, საწოლიც ექვსი იდგა 12 კვადრატულ მეტრში, თუმცა დაძინებაზე არავინ ფიქრობდა, ერთმანეთს ჩურჩულით ესაუბრებოდნენ.

„სალამი, ბიჭებო. მე დავიძინებ, თუ არ გეწყინებათ, თქვენც იმასვე გირჩევთ“, — უთხრა დამხვდურებს და როცა შეხედა, რომ თავი დაუქნიეს, ნარზე აძვრა, რკინებზე წამოწვა, სვიტერი გაიხადა, თავქვეშ ამოიდო და დაიძინა. დილით, როცა გაეღვიძა, კამერაში უკვე 19 იყვნენ. „ძველ ნაცნობებს“ გაუღიმა, დანარჩენებს ხმამაღლა მიესალმა და ნარიდან ჩამოხტა.

„ზემოდან ჩამოწეული არის ვინმე?!“ — ჩუმად იკითხა.

„კი, აი, ეს არის“, — უთხრეს დანარჩენებმა და მძინარე პატიმარზე მიუთითეს.

„მოკლედ, ჩვენ აქ დამატებით საწოლს არავინ შემოგვიტანს, სულ ექვსი საწოლია ანუ რიგ-რიგობით უნდა დავიძინოთ. ამან იცის, მეც ვიცი, რომ აქ ყველაზე დიდი პრობლემა ძილია და ამიტომ გვეძინა. გრაფიკი გააკეთეთ და გაითვალისწინეთ, რომ ბოლოში მინიმუმ ოთხი საათი მოიტოვოთ თავისუფალი. ახლებს რომ მოიყვანენ, იმათაც რომ ერგოთ რამე“, — თქვა №0578-მა.

დღე უსაშველოდ გაიწელა. დღის ბოლოს ყველაფერი აირია, გრაფიკი ახლიდან გასაკეთებელი გახდა, რადგან კარანტინში უამრავი პატიმარი შემოყარეს და გადაანაწილეს, თუმცა 27-ზე ნაკლები არსად იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, 27 კაცი 12 კვადრატულ მეტრში და რაც მთავარია, სარკმელი ნახევარ მტკაველზე იღებოდა. დაღამდა და ზოგი იატაკზე ჩამოჯდა და კედელს მიეყუდა, ზოგმა მუხლებზე დაიდო თავი და ისე გადაწყვიტა დაძინება, თითო ნარზე უკვე ორ-ორი კაცი იწვა, თავბოლოშექცევით, რადგან სხვა შემთხვევაში, ძილის დრო არავის ეყოფოდა.

„რაზე ხართ დაჭერილები, ის მოყევით, დრო გავა, თორემ იმსიგრძე ღამეა, გათენება გაჯანჯლდება“, — უთხრა №0578-მა დანარჩენებს, მაგრამ დაწყება ვერავინ გაბედა. ამიტომ, №0578 თავად მოყვა, რისთვისაც იყო დაკავებული და სხვებსაც გული მიეცათ.

„მე დეზერტირობისთვის, — თქვა ახალგაზრდა ბიჭმა, — ჯარში წამიყვანეს და გამოვიპარე, შეყვარებულის გულისთვის გამოვიპარე. ცოლად მინდოდა მომეყვანა, მაგრამ არ გამომყვა, ნაწილში დამაგვიანდა, უფროსმა სადაც საჭიროა, იქ განაცხადა და სავარაუდოდ, ერთ წელს მომცემენ“, — თქვა მან.

„ის დღე დაიწვას, პირველად წამალი რომ გავსინჯე. 45 წელი ისე ვიცხოვრე, წამალი რა იყო, არ ვიცოდი, მერე უბანში გავიკეთე და დამაწყებინა ჭიხვინი. ჰოდა, ვიჭიხვინებ ახლა აქ კაი ხანს“, — ერთ წინადადებაში დაიწყო და დაამთავრა ნახალოვკელმა კაცმა.

„მანქანის სარკეების ქურდობა“, — ჩუმად თქვა ახალგაზრდა ბიჭმა და სხვა პატიმარს გახედა, აქაოდა, მე მოვრჩიო.

„მე ჩამიდეს წამალი. მართლა ჩამიდეს, ვიკეთებდი თავის დროზე, მერე შევეშვი, ცოლი მოვიყვანე, ორსულად არის, გოგოს ველოდები და იმის თავს გეფიცებით, ჩამიდეს“, — ისე დაიწყო მტკიცება ერთ-ერთმა, თითქოს კარანტინში მყოფ პატიმრებზე იყო დამოკიდებული მისი სასჯელის ამბავი.

„მე ტერორისტი ვარ“, — გაიღიმა დაახლოებით 50 წლის კაცმა და სხვებსაც გაეცინათ.

„ეგ როგორ?!“ — ღიმილით ჰკითხა №0578-მა

„მარტივად. სწორედ ტერორიზმის ბრალდებით ვარ დაკავებული და თუ დამიმტკიცეს, კი მომცემენ სამუდამოს“, — ახლა მწარედ გაიღიმა პატიმარმა.

„სადაური ხარ? აქცენტი გაქვს, ქართველი არ უნდა იყო“, — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„რუსი ვარ, დედა უკრაინელი მყავს. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, აქ გავიზარდე, აქაური ვარ, რა“, — ცოტა არ იყოს, შეცბა რუსი.

„არაფერი, ისე გკითხე... და ააფეთქე რამე თუ ვერ მოასწარი?!“ — გაიცინა №0578-მა.

„არც ამიფეთქებია და არც ვაპირებდი. მოკლედ, ჩემი ჯარის ძმაკაცი დამიკავშირდა, საქართველოში ვარ, ეგებ შემხვდეო. შევხვდი და რაღაც ყუთი მომაჩეჩა, ეს შენთან დადე, სარბენი მაქვს და არ მინდა, ვათრიო, ძვირფასი რაღაცები მიდევს შიგნითო. წავიღე ის ყუთი, იმდენად თბილი იყო, სახლში პირდაპირ სამზარეულოში შევიტანე და ჩაიდანსაც კი ვათბობდი ხოლმე. ვერ გავხსენი, ჰერმეტულად იყო დახურული და ხომ არ გავჭრიდი? ჰოდა, ერთ დღეს პოლიცია დამადგა, ეგ ურანია და შენ კიდევ ტერორისტების ხელშემწყობიო და დამიჭირეს. აბა, მე საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იქ ურანი იქნებოდა?! “

„ტერორისტს“ ისტორიის მოყოლა არ დააცადეს, ერთ-ერთმა პატიმარმა კარზე ბრახუნი ატეხა.

„რა გჭირს?!“ — გაოცდა №0578.

„მაგას რადიაცია ექნება, ურანი ედო სახლში, ყველას გადაგვდებს და მერე კიბოთი მოვკვდები“, — განწირული ხმით ყვიროდა პატიმარი.

„დაიკიდე, გარეთ მაინც არავინ გაგიყვანს, პირიქით, გაუხარდებათ, ყველა მოკვდებაო, რომ გაიგებენ“, — ურჩია №0578-მა და კარიც გაიღო.

„რა გაღრიალებს?“ — უთხრა პატიმარს ოფიცერმა, მეტსახელად ჩორნამ და სილაც შემოარტყა. იმანაც სხაპასხუპით აუხსნა, რატომ აბრახუნებდა და მეორე სილაც მიიღო.

„ამ ჩემს სირს, თუ რადიაცია აქვს, დაიბრიდები, როცა იქნება, აბა, ცას ხომ არ გამოეკერები? აღარ დააბრახუნო, თორემ განახებ, დაბრახუნება როგორ უნდა, შე სირო“, — უთხრა ჩორნამ, ერთი სილა კიდევ შეაჭამა და გავიდა.

„ახლა რას აპირებ?!“ — ისევ რუსს მიუბრუნდა №0578.

„ადვოკატმა მითხრა, მარტივად გაგამართლებო და ვნახოთ“, — იყო პასუხი.

***

უკვე ზონაზე გაიგო №0578-მა, რომ ის რუსი გაასამართლეს და 20-წლიანი სასჯელი შეუფარდეს.

ვერსიანიუსი

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებულთათვის სისხლი გაიღეს

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს წალკის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“ და მ. იაშვილის სახელობის კლინიკის სისხლის ბანკს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის სისხლი ჩააბარეს.

აღნიშნული აქციის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები რეგულარულად იღებენ სისხლს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის. აქციაში მონაწილეობა მომავალშიც გაგრძელდება.

საჯარო სკოლებში შსს-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტი გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრის მიზანი იყო მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე, მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია. შეხვედრას ესწრებოდნენ შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დასავლეთ რეგიონული განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელი ირაკლი ანანიძე, ამავე დეპარტამენტის აჭარის ა/რ-ის სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი გია ჯუმუხაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩოხატაურის რესურსცენტრის უფროსი შორენა მახარაძე. შსს-ს წარმომადგენლები მოსწავლეებს ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა ფორმის, როგორიცაა ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მათი პრევენციის შესახებ ესაუბრნენ. მათ მოსწავლეებს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა გააცნეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ მიმდინარე წლის 1 მაისიდან დაიწყო. მისი მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროგრამაში ჩართული იყო თბილისის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და კახეთის კერძო და საჯარო სკოლები. პროექტის ფარგლებში, შს სამინისტრომ სკოლებში ათეულობით სალექციო ტიპის სემინარი ჩაატარა, რომლებშიც ცენტრალური კრიმინალური პოლიცია და საპატრულო პოლიცია იყო ჩართული. ასევე მოეწყო 51 გასვლითი, საექსკურსიო-პრაქტიკული ვიზიტი შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში. საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ გრძელდება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების საჯარო სკოლებში.

„ვერსიანიუსი“

1. „ბებერი კონტინენტი“
2. ვისიმე პირდაპირ მჯდომი ან მდგომი
3. აღტაცების გამოხატვა მქუხარეტაშით
4. ქართული უზენაესი წარმართული ღვთაება
5. ემიგრანტთა დაბრუნება სამშობლოში
6. ალოეს ქართული სახელწოდება
7. მოსამართლე „კავკასიურ ცარცის წრეში“
8. მაგარ-მერქნიანი ხე
9. წელიწადის 1/12
10. ნარკოტიკული ნივთიერება
11. ბინძური თავლების პატრონი
12. დიაპოზიტივის სინონიმი
13. გასეირნება ბავშვის ენაზე
14. იგივეა, რაც ფოლაქი
15. ისრაელის სახელმწიფო ენა
16. ცისარტყელას ქალღმერთი
17. ბრინჯაო ძველ ქართულში
18. ალკ. სასმელი
19. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
20. მდინარე რუსეთში
21. მამალი თხა
22. მდინარე ბელორუსიასა და ლიტვაში
23. ესპანეთის დედაქალაქი
24. თანამედროვე ამერიკელი მწერალი
25. კინოფილმში ჩართული კომიკური ტრიუკი
26. ჯანმრთელობის ქალღმერთი ბერძნ.მით.
27. მდინარე სამხრეთ აფრიკაში
28. ჰოლივუდის ვარსკვლავი
29. ხარებას ძმაკაცი
30. (ძვ.) ქალი, დედაკაცი
31. ცხენის პირში ამოსადები რკინა
32. პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულში
33. ბირმის უდიდესი მდინარე
34. ჰორიზონტა-ლური ფი-ცარი ფანჯრის ქვეშ
35. ათდღიანი მონაკვეთი
36. თავის ქალას ზედა ნაწილი
37. ტიბეტური ხარი
38. სიმბას ასული
39. იაპონელთა დელიკატესი-თევზი
40. მდინარე-ესპანურად
41. კათოლიკური წირვა
42. ოდისეევსის მშობლიური კუნძული
43. ზოდიაქოს ნიშანი
44. ბაშკირეთის დედაქალაქი
45. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ძალზე მცირეს
46. სტატიის მოკლე შინაარსი, დასკვნა
47. ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე თანამედროვე სახელმწიფო
48. უნგრეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ოლქი
49. ზევსის მეუღლე
50. თანაბარი ანგარიში ჭადრაკში
51. ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი
52. დუმილის კანონი მაფიაში
53. მუსიკალური გამის V ნოტი
54. ესპანური ხალხური ჩქარტემპიანი ცეკვა
55. ქალის ერთგვარი ზედატანი
56. კუნძულ კრეტის უმაღლესი მწვერვალი
57. თბილისის მეტროს ერთ-ერთი სადგური
58. მომღერალ მადონას ნამდვილი სახელი
59. ჯამის ფორმის სასმისი
60. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
61. ყოველთვის, მარად
62. მომკილი ხორბლის ღეროები
63. პარიზის ერთ-ერთი სიმბოლო
64. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
65. ინფექციურ დაავ. გამომწვევი მიკროორგანიზმი
66. საოპერო პარტია
67. ქრისტიანობის სიმბოლო
68. სამხედრო შარვლის ერთგვარი ფორმა
69. შეძახილი კავკასიური ცეკვებში
70. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
71. ერთუჯრედიანი ცხოველი
72. სუბტროპიკული ხილი
73. წარმავალი, წუთიერი, მოკლეკამიერი
74. სამხედრო ფორმის პალტო, მაზარა
75. თავადის ტიტული ინდოეთში
76. დღეის მომდევნო დღეს ანუ ...
77. ჯეკ ლონდონის „... იდენი“
78. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი
79. მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება
80. პერსევსის დედა
81. კუბის ფორმის მუსლიმანური სიწმინდე ქალაქ მექაში
82. ჰოლივუდის მსახიობი ... გიბსონი
83. ყატარის დედაქალაქი
84. „თეთრი ოქრო“
85. მკაცრი აკრძალვა პირველყოფილ ხალხებში
86. მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე, ლენტეხის რაიონში
87. სამოას დედაქალაქი

ჩინელები ხელოვნურ სახეს ირგებენ



ჩინეთში ახალი მოდა იკიდებს ფეხს, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებში. ეს სახის შეცვლა, ანუ რეალისტურად შესრულებული ნიღბის მორგებაა, რომელიც უთხელესი სილიკონისგან მზადდება. მსურველებს შეუძლიათ ასევე განსაკუთრებული გელიც შეიძინონ, რომელიც სახის კანს ისე მჭიდროდ აკრავს ნიღაბს, რომ ადამიანს მიმიკების გადმოცემაც თავისუფლად შეუძლია. ამ „ხელოვნური კანის“ სისქე 0.1-დან ერთ მილიმეტრამდეა და ზუსტად იმეორებს ნამდვილი ეპიტელიუმის სტრუქტურას. ასეთი ნიღბის მფლობელს, შეუძლია, შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი, თუ ის ერთი მეტრის დისტანციაზე მაინც იმყოფება. „ახალი სახის“ ღირებულება დაახლოებით 75-300 დოლარია, 50 იუანად კი მსურველს შეუძლია სახე წვერ-ულვაშითაც დაიმშვენოს. ნიღბების მწარმოებელი ფირმა ასევე ხელოვნურ თითებსა და ყურებსაც ამზადებს. ნიღბებს ძირითადად ახალგაზრდობა ყიდულობს გასართობად, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც მას გარეგნული დეფექტის დასაფარად იყენებენ. ფირმაში აცნობიერებენ, რომ მათი „სახეები“, შესაძლოა, დამნაშავეებმაც გამოიყენონ.

1. ხის აღვირი
2.ნადიმით ცნობილი რომაელი სარდალი
3. თეორიული მექანიკის დარგი
4. მთის წაწვეტებული მწვერვალი
5. პლატონის მასწავლებელი
6.ფიზიკის დარგი, სწავლობს სინათლეს
7. ბუქარესტის საფეხბურთო კლუბი
8. სასვენი ნიშანი
9. სკვითების მახვილი
10.კლიმატ. კურორტი ადიგენის რაიონში
11. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
12. მუხის ნაყოფი
13. ცენტრალური მცველი ფეხბურთში
14. დედალოსის ურჩი ვაჟი
15. ყურის ანთება
16.სახალხო კრება ძველაბერძ.
17. ჩრდ. ირლანდიის ზოგადი სახელწ. აშშ-ში
18.შუასაუკუნოვანი ხელოვნების სტილი
19. იგივეა, რაც ზეგანი
20.მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა
21ყოფილი ინგლისელი შავკანიანი ფეხბურთელი
22.ვეოდეზ. კუთხსაზომი იარაღის დეტალი
23. ესტონეთის დედაქალაქი
24. ილარიონის მეგობარი
25. ანდერსენის მშობლიური ქალაქი
26. სპილბერგის უცხოპლანეტელი
27. იგივეა, რაც წლოვანება
28. ბერძნული ანბანის ასო
29. ლონდონის ისტორიული ციხე
30.რბილი ტყავი
31ჭიდაობ. ილეთი
32. გიორგობისთვე
33.ფრთოს. მწერის განვითარ. სტადია
34. თბილისის უბანი
35. მდინარე მონღოლეთში
36. ჯეიმს ჯოისის რომანი
37. დიდი ქვა
38.ელექტროძრავას მბრუნავი ნაწილი
39.საბავშვო სპორტული ორგანიზაციის წევრი
40. ძველი სპარსეთის მეფე
41. ტოკიოს ძველი სახელწოდება
42. ოკეანის ნაწილი
43. ფუჭი, უშედეგო
44.კარატეს ცნობილი იაპონელი ოსტატი
45. უეცარი შიში
46. ბაბლუანის ფილმი „უძინართა ...“
47. კედლის ჭაღი
48. მაყურებელთა დარბაზისგან სცენის გამოსაყოფად ჩამოშვებული ქსოვილი
49. „საშუალოს“ აღმ. ტერმინი მუსიკაში
50. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
51. I პირის ნაცვალსახელი
52. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
53. ტექნიკური ზეთი
54. მუსიკალ. გამის IV ნოტი
55. ცხენის კისრის დასასრული ბეჭების თავთან
56. სინათლე ბავშვის ენაზე
57.შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქი
58. ქილილას ბეწყვილე
59. პატარა ტყე მინდორში
60. დიდი ვენახი
61. დაბალი ფასის მქონე
62. გაზაფხულის ყვავილი
63. ჩუქურთმიანი ქვა ბეჭედში

ᲓᲘᲓᲮᲐᲜ ᲫᲘᲚᲘ ᲐᲮᲓᲣᲜᲔᲑᲡ

ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანი, რაც ნაკლებად სძინავს, მით უფრო იმატებს წონაში. მინესოტას კლინიკის მედიკოსებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგებითაც დამტკიცდა, რომ ცოტა ძილი გაძლიერებულ კვებას ითხოვს. ექსპერიმენტისას მკვლევარები ჯანმრთელ 17 ქალსა და მამაკაცს ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. მათგან ერთ ჯგუფს ნორმალურად გამოძინების საშუალება ეძლეოდა, მეორეს ამისთვის უფრო ნაკლები დრო ჰქონდა. საკვებს კი იმდენს იღებდნენ, რამდენიც მოესურვებოდათ. მეცნიერებმა შეამოწმეს, მართლა ახდენს თუ არა გავლენას უძილობა მადაზე — ლეპტინისა და გრეილინის დონის ცვლილებაზე. აღმოჩნდა, რომ მოხალისეები ცოტა ძილით დაკარგულ ენერგიას ჭამით ინაზღაურებდნენ. იმ ჯგუფის წევრები, რომელთაც ცოტა ეძინათ, ყოველდღიურად 549 კალორიით მეტს იღებდნენ, ვიდრე ექსპერიმენტის გამოძინებული მონაწილენი. აღსანიშნავია, რომ უძილობა დღეს გლობალური პრობლემაა. აშშ-ს მოსახლეობის 28%-ს დღე-ღამეში მხოლოდ 4-6 საათი სძინავს, ეს კი მათ წონაზე უარყოფითად მოქმედებს.

ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲡᲔᲠᲢᲘ

ავსტრალიელმა ქალბატონებმა — კონდიტერმა ელზა ლიმ და ფლორისტმა ანჟელა ვონგმა სიდნეიში, მსოფლიოში პირველი ყვავილების მაღაზია Petal Met Sugar გახსნეს, რომელიც ამავდროულად საკონდიტროს ფუნქციასაც ითავსებს. ამ დაწესებულებაში არა მხოლოდ ყვავილებს ყიდიან, არამედ კლიენტებს ტკბილეულითაც უმასპინძლდებიან, რომელიც საკვებად ვარგისი ყვავილებისგანაა დამზადებული. იმის მიხედვით, ამა თუ იმ სეზონზე რა სახის მცენარეები ყვავილობს, საყვავილე-საკონდიტროში მენიუ გამუდმებით იცვლება, თუმცა მისი პოპულარული კერძები უკვე ცნობილია — ღვეზელები ყავილების ქოთნების სახით. მას შოკოლადის ცომის ან ბისკვიტისგან ამზადებენ, რთავენ კრემით ან ნაყინით, ცოცხალი ყვავილების ფურცლებით და თეთრი ან შავი შოკოლადის ვაზით მიაქვთ კლიენტთან.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ამოცანას, რომლის ამოხსნასაც მსოფლიოს მათემატიკოსები 156 წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ, ნიგერიელმა პროფესორმა გაართვა თავი. თუკი რიმანის ჰიპოთეზის მტკიცებულება სწორი აღმოჩნდება, აფრიკელი სწავლული მილიონ დოლარს მიიღებს ამერიკის მათემატიკის ინსტიტუტისგან. ნიგერიელი პროფესორი აცხადებს, რომ ჰიპოთეზა ჯერ კიდევ 2010 წელს ამოხსნა და მისი წყალობით ურთულეს ამოცანასაც გაუმკლავდა. უცხოური პრესის ცნობით, მეცნიერმა შეძლო რიმანის ჰიპოთეზის დამტკიცება, რომელიც ათასწლეულის ერთ-ერთი ურთულესი მათემატიკური ამოცანაა. ცნობილია, რომ ნიგერიელი პროფესორი ადრე სისტემების მოდელირებით იყო დაკავებული, რომელიც ქარისა და ოკეანისგან ენერგიის მიღების საშუალებას იძლევა.

სუდოკუ ყანა

ადვილი

				3	7	8		9
						2		
		3	6			7	1	
4		2	5					6
			7		2			
5					1	9		4
	6	1			8	4		
		9						
7		8	3	2				

სტანდარტი

9					7	3		
	8						9	4
			8				7	6
	5		1		4			
	2	1				4	3	
			3		8		5	
2	1				5			
7	3						6	
		5	4					3

რთული

6						1		
1		8			2			4
	4	5		9				
		9	4		7	3		
	1						8	
		6	8		5	4		
				4		8	1	
8			2			9		3
		7						5

ექსპერტი

2						4	3	
4	3	1	2		6			
		6						
			9		2		6	
		9		5		7		
	4		3		8			
						6		
			8		5	3	4	2
	8	3						1

საუკუნის უდიდესი ალმასი აღმოაჩინეს

აფრიკის სამხრეთში, ბოტსვანაში მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ალმასი აღმოაჩინეს. ძვირფასი ქვა 1111-კარატიანია და სიდიდით მხოლოდ ცნობილ კულინანს ჩამოუვარდება, რომლის წონაც 3106 კარატს შეადგენს. მოფლიოში სიდიდით მეორე ალმასი აფრიკულ საბადოში კანადურმა კომპანიამ Lucara Diamond Corporation აღმოაჩინა. ფირმის ხელმძღვანელის თქმით, ძნელია შეაფასო იმ აღმოჩენის მნიშვნელობა, რომელიც ასი წლის განმავლობაში ნაპოვნი ყველაზე დიდი ალმასია და წონით 1000 კარატზე მეტია. სწორედ ერთი საუკუნეა, ძვირფასი ქვების მაძიებლებს ასეთი სიდიდის ალმასი არ უპოვიათ. ცნობილი კულინაბიტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1905 წელს აღმოაჩინეს. ის დიდი ბრიტანეთის მეფეს ედვარდ VII-ს აჩუქეს, მოგვიანებით, ბზარების გამო 96 წვრილ ბრილიანტად დაანაწევრეს. მათგან ყველაზე დიდი ალმასებით კი ბრიტანული იმპერიის გვირგვინი დაამშვენეს.

ყველაზე სულელი დამნაშავე

ავსტრიელმა სამართალდამცავებმა ცნობისმოყვარე და წარმოუდგენლად სულელი დამნაშავე დააკავეს, რომელიც თავად მივიდა პოლიციის განყოფილებაში იმის გასაგებად, იყო თუ არა მასზე ძებნა გამოცხადებული. 59 წლის მამაკაცი, რომლის სახელიც არ ხმაუდება, გვიან საღამოს მივიდა გამყოფილებაში და სამართალდამცავს სთხოვა შეემოწმებინა, იყო თუ არა ძებნილთა სიაში მისი სახელი და გვარი. პოლიციელებმა იფიქრეს, რომ კაცი თუ დამნაშავე იყო, საკუთარი ფეხით მათთან არ მივიდოდა, თუმცა მონაცემთა ბაზის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მამაკაცზე ვენის სასამართლოს ორდერი იყო გაცემული — ბრალად ედებოდა ფინანსური თაღლითობის რამდენიმე მცდელობა და სხვისი ქონების მითვისება. ავსტრიელი, რომელსაც პოლიციელებმა „ყველაზე შტერი დამნაშავე“ უწოდეს, ადგილზევე დააკავეს და ადგილობრივ ციხეში გადაიყვანეს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	9	1	3	7	6	4	8	5
8	4	7	5	2	1	9	6	3
3	6	5	4	9	8	7	1	2
1	3	2	9	4	5	8	7	6
9	8	4	6	3	7	2	5	1
7	5	6	1	8	2	3	9	4
4	1	3	8	6	9	5	2	7
6	2	9	7	5	4	1	3	8
5	7	8	2	1	3	6	4	9

სტანდარტი

7	9	8	2	4	6	5	3	1
6	3	4	7	1	5	2	9	8
2	5	1	8	3	9	7	4	6
5	2	9	6	7	4	1	8	3
4	1	7	9	8	3	6	2	5
8	6	3	1	5	2	4	7	9
3	8	2	5	6	7	9	1	4
1	7	5	4	9	8	3	6	2
9	4	6	3	2	1	8	5	7

რთული

9	3	7	8	6	5	1	2	4
1	2	5	4	9	7	6	8	3
8	6	4	3	2	1	9	7	5
7	4	6	9	8	2	5	3	1
5	1	3	7	4	6	8	9	2
2	9	8	1	5	3	4	6	7
6	8	2	5	3	4	7	1	9
4	7	9	2	1	8	3	5	6
3	5	1	6	7	9	2	4	8

ექსპერტი

9	1	6	7	8	5	4	3	2
2	5	4	9	1	3	8	7	6
8	3	7	6	4	2	5	1	9
1	9	5	8	7	6	2	4	3
4	6	3	5	2	1	9	8	7
7	2	8	4	3	9	6	5	1
6	8	2	3	5	7	1	9	4
5	7	1	2	9	4	3	6	8
3	4	9	1	6	8	7	2	5

მე-10 გვერდი: 1. გონდოლა; 2. რექტორი; 3. გროტესკი; 4. ნიველირი; 5. ოქრო; 6. ამია; 7. რაფტინგი; 8. ქინაქინა; 9. ოკა; 10. ილინსკი; 11. ფორვარდი; 12. უპე; 13. ირანისტი;ა 14. კლიტე; 15. ოფენბახი; 16. ცაიტნოტი; 17. ერი; 18. ლაო; 19. სელექცია; 20. ატომი; 21. ინრო; 22. სეული; 23. ნაირა; 24. ლოკატორი; 25. „სპირალი“; 26. მონა; 27. გინიოლი; 28. ისრიმი; 29. კერატინი; 30. მოსკიტი; 31. ნავთლუღი; 32. იაკი; 33. აკრი; 34. სილოსი; 35. შლეიფი; 36. ობერტონი; 37. გიტა; 38. ბასმა; 39. მოემი; 40. სავლე; 41. ზეობა; 42. კაი; 43. სტაკატო; 44. იდილია; 45. ლოს; 46. ობი; 47. კეა; 48. ტონა; 49. ლეი; 50. ზეგ; 51. ბაია; 52. ურბნისი; 53. ტორი; 54. ყრუ; 55. ფოკუსი; 56. ნიამეი; 57. იღლია; 58. კანოე; 59. დუ; 60. ბუა; 61. ბასილი; 62. ხაო; 63. აის; 64. სირ; 65. იდეა.

საუკეთესო ბურგერი უხორცოა

ამერიკულმა ჟურნალმა GQ-მ, პროექტის ფარგლებში „50 საუკეთესო რამ, რაც უნდა ჭამო, ატვირთო და დალიო“, გამოკვლევა ჩაატარა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ერთ-ერთი საუკეთესოს ტიტული ბურგერმა მოიპოვა, მხოლოდ უხორცომ, რომელსაც ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე დაწესებულებაში Superiority Burger ამზადებენ. 6-დოლარიან ბურგერში შედის ფუნთუშა, სალათი აისბერგი, ტომატი, სოუსი და ვეგეტარიანული კოტლეტი, რომლის რეცეპტსაც შეფ-მზარეული არ ამხელს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

საინფორმაციო მხარდაჭერა

მედიაპოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ და „გორბი“ წარმოგიდგენთ მე-16 ტრადიციულ ბიზნესრეიტინგის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს!

26 ნოემბერს 20:00 სთ-ზე „ფუნიკულიორის კომპლექსის წვეულებათა დარბაზში“ III სართულზე მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია „გორბის“ **XVI ტრადიციულ ბიზნესრეიტინგში გამარჯვებული კომპანია/ბიზნესმენთა დაჯილდოების ცერემონიალი და საზეიმო ვახშამი გაიმართება.**

სპონსორები:

პლატინის სპონსორი კომპანია „ბლექსიგრუპი“;
ოქროს სპონსორი „სოკარ ენერჯი ჯორჯია“;
გენერალური სპონსორები: კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
და სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“.

მხარდამჭერები:

თბილისის მერია;
ეკონომიკის სამინისტრო;
ფინანსთა სამინისტრო;
ენერგეტიკის სამინისტრო;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
საპარტნიორო ფონდი;
საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა.

მედიაპარტნიორები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი;
ტელეკომპანია „იმედი“;
ტელეკომპანია „დრო“;
ტელეკომპანია TV3;
ტელეკომპანია TV8;
საფერავი TV;
TV პირველი;
ტელეკომპანია „ობიექტივი“;
ტელეკომპანია „მიუზიკბოქსი“;
რადიო „ფორტუნა“;
„ავტორადიო“;
ონლაინგაზეთი www.geotimes.ge;
ბიზნესპორტალი www.award.com.ge;
ვიდეოპორტალი www.baidu.ge;
www.georgianpress.ge;
პორტალი „კვირა“;
www.epn.ge;
www.for.ge;
www.newsday.ge;
ინგლისურენოვანი გაზეთი Georgian Times;
ინგლისურენოვანი გაზეთი Georgia Today;
Caucasian Business Week;
გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“;
გაზეთი „პრაიმტაიმი“;
გაზეთი „ვერსია“;
გაზეთი „ქართული სიტყვა“;
ჟურნალი „თბილისელები“;
ჟურნალი „რეიტინგი“.

პირველი ბიზნესრეიტინგი 1995 წელს გაიმართა, **პროექტის მიზანია:** ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების ურთიერთ დაახლოება და რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობაა, ქართული ბიზნესის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში კი ბიზნესრეიტინგის წვლილს არა მხოლოდ საქმიანი, არამედ პოლიტიკური სამყაროც აღიარებს.

1995 წლიდან დღემდე ბიზნესრეიტინგში გამარჯვებულ კომპანიები და ბიზნესმენები არიან:

TBC ჯგუფი — მამუკა ხაზარაძე;
„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ — თემურ ჭყონია;
„ყაზბეგი“ — გოგი თოფაძე;
„ყაზბეგი კასტელი“ — გოგი თოფაძე;
GWS — ლევან გაჩეჩილაძე;
შპს „სამგორი 94“ — ავთო წერეთელი;
შპს „თბილავიამშენი“ — პანტიკო თორდია;
TBC ბანკი — ვახტანგ ბუცხრიკიძე;
„გაერთიანებული ქართული ბანკი“ — ვანო ჩხარტიშვილი;
შპს „სამგორი 94“ — ავთო წერეთელი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი;
„ჯეოსელი“ — ოსმან თურანი და საქართველოს ბანკი — ირაკლი გილაური;
„სოკარი“ — მაირ მამედოვი;
საქართველოს ბანკი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა Georgian Times-ს და „გორბის“ მიაწოდა იმ კომპანიების სია, რომელთაც საქართველოს ბიუჯეტში 1 000 000 000 ლარი და მეტი შეაქვთ. ექსპერტებმა, ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, მრეწველთა და გადამხდელთა კავშირების წარმომადგენლებმა, სოციოლოგიური კვლევების სამსახურებმა გამოავლინეს საუკეთესო და წარმატებული კომპანიების ტოპ-60, რომელთა შორის გამოვლინდა 30 საუკეთესო კომპანია, რომელიც თავის რიგებს შორის გალა საღამოზე ერთ გამარჯვებულს ანუ ლიდერს ლიდერთა შორის გამოავლენს, რჩეულს რჩეულთა შორის კი ერთი წლით გარდამავალი გრან-პრი გადაეცემა, ბიზნესის ეროვნული ჯილდო-ხელნაკეთი და ექსკლუზიური კომპოზიცია „ბოლნური ჯვარი“, დამზადებული ძვირფასი ლითონებისგან: ოქროსა (31,5 გრ) და ვერცხლისგან (12 გრამი), ბუნებრივი ქვებისგან-ბრილიანტი (1 ცალი), ლურჯი საფირონი (1 ცალი), ფირუზი (4 ცალი), ცირკონი (2 ცალი), მწვანე ძოწი (2 ცალი). დანარჩენი კომპანიები კი სხვადასხვა ნომინაციებით და ტოპ-30 საუკეთესო კომპანიის დამადასტურებელი დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

პროფესიონალმა ჟიურიმ, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებებით არის დაკომპლექტებული, საუკეთესო კომპანიები შემდეგი კრიტერიუმებით შეაფასა: მეწარმეთა ინტერესების დაცვა; საზოგადოებრივი იმიჯი; ეფექტური მენეჯმენტი; ქველმოქმედება/მეცენატობა; სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა; ახალი ტექნოლოგიები; ახალი სამუშაო ადგილები; საქმიანობის სტაბილურობა; კომპანიის ზრდა-წარმატება; აღიარება საზღვარგარეთ; საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR); ეფექტური მარკეტინგი; ფინანსური გამჭვირვალეობა; გუნდის პროფესიონალიზმის დონე; პოტენციური საინვესტიციო მიმზიდველობა.

ტრადიციულ XVI ბიზნესრეიტინგის საზეიმო გალა ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, სასულიერო პირები, ბიზნესმენები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის, საქართველოში აკრედიტებული მისიების და ფონდების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოური მასმედია დაესწრება.